



წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული  
ზიანის ანაზღაურების ფარგლები

ჩხიკვიშვილი ანა

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
თბილისი, 0186, საქართველო  
2020 წელი, სექტემბერი

საავტორო უფლება 2020 ანა ჩხიკვიშვილი

# სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

## სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ჩხიკვიშვილი ანას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ფარგლები, “და ვამღებ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი: გიორგი მესხი

---

# სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

## სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ანა ჩხიკვიშვილი

თარიღი:

## რეზიუმე

ნაშრომი შეეხება საქართველოში აქტუალურ პრობლემას, საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის დადგომისას, ანაზღაურების ფარგლებს. საქართველოში წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანი ხშირია, მაგრამ მომხმარებელი არ მიმართავს სასამართლოს მწარმოებლისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, ამიტომ სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ზოგადად დელიქტით წარმოშობილი ზიანის დადგომის შემთხვევაში ანაზღაურების ფარგლები ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარდაცვალებისას, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარდაცვალებისას. ნაშრომში განხილულია, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, რა ოდენობით ანაზღაურდება ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანი და კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ბოლო წლებში ზიანის ოდენობის განსაზღვრისას შეინიშნება მზარდი ტენდენცია, რაც შეიძლება შეფასდეს დადებითად ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ასევე განხილულია დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლისათვის ასანაზღაურებელი ოდენობა. უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნება სრული გარდატეხა, რაც გამოწვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით „სარიშვილი-ბოლქვამის“ საქმეზე, რადგან ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ქართული სასამართლო არ უშვებდა გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

ნაშრომში განხილულია, რომელი პროდუქტი მოიაზრება წუნდებულად საქართველოსა და გერმანიის კანონმდებლობების მიხედვით, ასევე ევროპის საბჭოს დირექტივის საფუძველზე. თემის აღნიშნულ ნაწილში ასევე- განხილულია საკითხი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ნივთის ცნებაში უნდა შედიოდეს თუ არა პირველადი წარმოების პროდუქტები. სამაგისტრო თემის კვლევა მოიცავს ასევე საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის პრობლემას.

საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შესახებ სასამართლო პრაქტიკის თითქმის არარსებობა არის მნიშვნელოვანი პრობლემა ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, რადგან სასამართლო პრაქტიკის მრავალფეროვნებამ შესაძლებელია კანონმდებლობის დახვეწაც განაპირობოს და ზოგადად „გამოაცოცხლოს“ ეს სფერო. რეალურად ქვეყანაში არსებობს წუნდებული საკვები, მაგრამ სამართლებრივი შეფასება არ აქვს, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით სასამართლო საქმეს განიხილავს პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც სურს დაიცვას თავისი უფლება, ან ინტერესი. ეს

პრობლემა ბევრ ქვეყანაში იდგა, როდესაც მომხმარებლის ცნობიერება საჭიროებდა ამაღლებას და ასევე საქართველოში, რასაც დრო, ამ საკითხზე მსჯელობა და პრობლემის გამოკვეთა სჭირდება, რათა აღნიშნული პრობლემა უფრო თვალსაჩინო გახდეს.

## Resume

The paper is about the actual problem of Georgia, the damage caused by food, amount of its reimbursement. Damage caused by a defective product is very common in Georgia, but consumers do not appeal to the court to impose the manufacturer, so court practice is very scarce. Thus, the paper discusses compensation cases due to damages caused by a tort in general, due to health damages and death, as well as the amount of compensation for moral damage due to health damages and death in accordance with the existing court practice in Georgia. The paper discusses the amount of compensation for moral damage caused by health damage according to the case law in Georgia. The research results show that there has been an increase tendency of determining the amount of damage in recent years, which can be assessed positively from the point of view of human rights. There is also discussed the amount of compensation to the successor in the event of the death of the victim. In the last mentioned case, there was a total changes in the court practice in connection with the decision of the European Court of Human Rights about “Sarishvili-Bolkvadze” case, because Georgian court did not authorize compensation for moral damages in the event of death before this decision.

The paper considers which product is faulty as stated by the legislation of Georgia and Germany, as well as based on the directive of the Council of Europe. This part

of the topic also reviews whether the concept of subject matter should include products of primary production or not in accordance with the Civil Code of Georgia. The master's study also includes the problem of establishing a causal relationship in the event of food spoilage.

The near absence of case law about food damages is a significant problem in terms of consumer right protection in the country, as the diversity of case law can also lead to improved legislation and a general “revival” of this area. In fact, there are defective products in the country, but they do not have any legal assessment, because according to Article 2 of the Civil Procedure Code of Georgia, the court considers the case on the basis of an application of a person who wants to protect his/her rights or interests. This problem existed in many countries when it was necessary to raise consumer awareness, as well as in Georgia. It needs time to discuss the problem and identification of the problem to make the problem more visible.

# სარჩევი

I. შესავალი .....	8
II. წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი .....	11
1. საკვები პროდუქტის კატეგორია, რომლითაც მიყენებული ზიანი ანაზღაურდება .....	12
2. საკვები პროდუქტის მომხმარებელი.....	17
3. მზა საკვებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ადრესატი.....	18
4. კავშირის დადგენა გამომწვევ მიზეზსა და დამდგარ შედეგს შორის.....	21
III. ზიანის ანაზღაურების ფარგლები .....	29
1. ზიანის ანაზღაურების ფარგლები ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში.....	31
2. ზიანის ანაზღაურების ფარგლები სიცოცხლის მოსპობისას .....	38
3. საკვების მწარმოებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობისას ზიანის ანაზღაურების ფარგლები.....	40
4. წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები.....	41
4.1 მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.....	41
4.2 ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში .....	47
4.3 მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები უფლებამონაცვლისათვის პირის გარდაცვალების შემთხვევაში.....	52
IV დასკვნა.....	59
ბიბლიოგრაფია .....	62

## I. შესავალი

საზოგადოებაში წარმოქმნილი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების მოწესრიგება და დარეგულირება სამართლის ამოცანას წარმოადგენს. ადამიანის უფლებების დაცვისა და ცხოვრების დონის განვითარებათან ერთად სამართლის ფუნქციაა ღირსეულად და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოაწესრიგოს და დააკმაყოფილოს საზოგადოებაში წარმოქმნილი ინტერესები.

სამართლის ზოგადი ნორმები ემსახურება სამართლიანობას, რადგანაც ისინი აღკვეთენ თვითნებურ და არათანაბარ მოპყრობას.<sup>1</sup> წუნდებული საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის პრობლემა საქართველოში არსებობს და ამის შესახებ ყოველდღიურად ვისმენტ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, აგრეთვე სხვადასხვა სოციალური კონტაქტების მეშვეობით. ამის საპირისპიროდ, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საკვებ პროდუქტთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი საქმე თუ მოიძებნება. ფაქტია, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონები, რომლებიც არეგულირებენ პროდუქტის უსაფრთხოების საკითხებს, რჩება მხოლოდ ფურცელზე, რეალობა კი სხვაგვარია და მოსახლეობის ცნობიერებაც არ არის იმ დონეზე განვითარებული, რომ მიმართონ სასამართლოს, თუნდაც მცირედი ზიანის არსებობისას, და მოითხოვონ პასუხი მწარმოებლისაგან. მოსახლეობის ცნობიერება წარმოადგენს პრობლემას, როდესაც ზიანის დადგომისას ხშირად მომხმარებელი ვერც კი წარმოიდგენს, რომ საკვებმა პროდუქტმა გამოიწვია აღნიშნული ზიანი და, შესაბამისად, არანაირ ზომას არ იღებს. ამის შედეგი კი არის, ზოგადად, დაბალი ხარისხის და ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი პროდუქცია მთლიანად ქვეყანაში. სასამართლო პრაქტიკის სიმწირიდან გამომდინარე, პრობლემური და დასაზუსტებელია ასევე ზიანის ანაზღაურების ფარგლები ჯანმრთელობის

---

<sup>1</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, 12.



დაზიანებისა და გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანისა და დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლისათვის ანაზღაურების ფარგლები.

აღნიშნული საკითხები აქტუალურია, რადგან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი აქვს ვალდებულებების შესრულება და მისი მიზანია, გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. საქართველოს მიზანია გახდეს განვითარებული დემოკრატიული ქვეყანა, რომელშიც მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი. „ცალკეული ადამიანი უფრო უპირატესია, ვიდრე მთელი საზოგადოება. საზოგადოების არსებობის გამართლება კონკრეტული ინდივიდის იტერესებშია.“<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, აქტუალურია ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა. ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო საკვებზე ხელმისაწვდომობა არის ადამიანის უფლება, რომლის დაცვაზეც სახლმწიფო უნდა ზრუნავდეს. აღნიშნული უნდა გაითვალისწინოს მწარმოებელმაც, რადგან საქონლის შექმნისას პროდუქტი მისაღები უნდა იყოს მომხმარებლისათვის, მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი მოგების მიღება.<sup>3</sup>

კვლევის მიზანია წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის შემთხვევებში სასამართლოსათვის მიმართვის მნიშვნელობაზე, მიმართვისას წარმოშობილ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და საკითხის მნიშვნელობის ხაზგასმა, რადგან საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის შესახებ მხოლოდ ერთი სასამართლო გადაწყვეტილება არსებობს საქართველოში. კვლევის მიზანია ასევე საკვები პროდუქტით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების და გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების ფარგლების შესახებ, ასევე ჯანმრთელობის დაზიანებისა და

<sup>2</sup> ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბილისი, 2013, 70.

<sup>3</sup> თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი., საკუთარი ბიზნესი: მთავარი სამიზნე მოთხოვნების დაკმაყოფილება, მე-2 ნაწილი დამხმარე სახელმძღვანელო, გორი, 2008, 41-42.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებზე მსჯელობა.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნება კვლევის ანალიტიკური მეთოდი, ასევე შედარებით-სამართლებრივი, დესკრიფციული, ისტორიულ-გენეტიკური, ჰერმენევტიკული და დედუქციური მეთოდები. დადგინდება საკვები პროდუქტის კატეგორია, რომლით მიყენებული ზიანიც ანაზღაურდება. განიხილება ზიანის ანაზღაურების ფარგლების შესახებ გადაწყვეტილებები და მოსაზრებები.

ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის მეორე თავში განხილულია წუნდებული საკვები პროდუქტებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ საკვები პროდუქტის კატეგორიის შესახებ, რომლით მიყენებული ზიანიც ანაზღაურდება, და საკვები პროდუქტის მომხმარებელთან დაკავშირებული საკითხები. ასევე განიხილება მიზეზობრივი კავშირის დადგენის სირთულეები წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში და მზა საკვებით გამოწვეული ზიანის ადრესატის შესახებ. მესამე თავში განხილულია ზიანის ანაზღაურების ფარგლების შესახებ საკითხები, კერძოდ რა ოდენობით ანაზღაურდება ზიანი ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, ასევე სიცოცხლის მოსპობისას. აგრეთვე განხილულია ჯანმრთელობის დაზიანებისა და გარდაცვალებისას მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებთან დაკავშირებული საკითხები.

## II. წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი

სამომხმარებლო სამართალს ორმაგი ბუნება აქვს და მოიცავს როგორც კერძო, ასევე საჯაროსამართლებრივ ნორმებს. მომხმარებელთა უფლებები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსში და საჯაროსამართლებრივ ნორმატიულ აქტებში, კერძოდ კი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსსა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში.“

მომხმარებელთა უფლებების ეფექტურად დაცვისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ სამართლებრივი ნორმები მოიცავს - როგორც წუნდებული საკვები პროდუქტის ცნებას, ასევე სხვა საკითხებს, რომელიც საჭიროა პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის.

წუნდებული პროდუქტის წარმოებისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება კუმულაციურად სამი პირობის არსებობის შემთხვევაში, ესენია: 1. წუნდებული პროდუქტის წარმოება; 2. ზიანი; 3. მიზეზობრივი კავშირი წუნდებული პროდუქტის წარმოებასა და დამდგარ შედეგს შორის.<sup>4</sup>

დელიქტური ვალდებულებები დაკავშირებულია ზიანის მიყენებასთან და მნიშვნელოვანია აღნიშვნა, რომ არასახელშეკრულებო ხასიათი აქვს,<sup>5</sup> ის ემსახურება ქონებრივი და/ან მორალური ზიანის ანაზღაურებას.<sup>6</sup> ხაზგასასმელია, რომ არასახელშეკრულებო ზიანის ოდენობა წინასწარ განუსაზღვრელია, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ადგენს ანაზღაურების ფარგლებს.<sup>7</sup>

უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებებს შორის არის ნება, რამდენადაც არასახელშეკრულებო

<sup>4</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 392.

<sup>5</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 379.

<sup>6</sup> ძლიერიშვილი ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სს-კ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, N 2, 2013, 31.

<sup>7</sup> იქვე.

ვალდებულებები, სახელშეკრულებოსაგან განსხვავებით, პირის ნებისგან დამოუკიდებლად წარმოიშობა.<sup>8</sup>

სახელშეკრულებო კავშირის არარსებობის მიუხედავად და ზოგიერთ შემთხვევაში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სურვილით არის განპირობებული და ამ საკითხში სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ერთიანი მიდგომაა.<sup>9</sup>

პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნივთის ხარისხზე შეთანხმება არ დადებულია.<sup>10</sup>

ნაშრომის აღნიშნულ თავში განხილული იქნება საქართველოს, გერმანიისა და ევროპული კავშირის კანონმდებლობის მიხედვით საკვები პროდუქტის კატეგორია, რომლით მიყენებული ზიანიც შესაძლებელია ანაზღაურდეს, ასევე განიხილება საკითხი - ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს მომხმარებლად და მზა საკვებით მიყენებული ზიანის ადრესატად. განიხილება მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხი, რომელიც საკმაოდ პრობლემურია წუნდებული საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შემთხვევაში.

## **1. საკვები პროდუქტის კატეგორია, რომლითაც მიყენებული ზიანი ანაზღაურდება**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის მწარმოებლის პასუხისმგებლობის შესახებ საკითხებს. პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი, ხოლო სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის

---

<sup>8</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 95.

<sup>9</sup> ნიჟარაძე ნ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ცნება ქართულ სამართალში „ცხოვრება და სამართალი“, N 3, 1998, 76.

<sup>10</sup> ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 2014, 283

პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს.<sup>11</sup> პროდუქტის იგივე განმარტებაა მოცემული პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში.<sup>12</sup> პირველადი წარმოება განიმარტება, როგორც პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას (მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით); ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას.<sup>13</sup> პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას. მაგალითად, თუ პირი მიწათმოქმედებას ეწევა და სარეალიზაციოდ გააქვს კომბოსტო, მისი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი მყიდველი მოიწამლება, მაგრამ თუკი იგი კონსერვს დაამზადებს კომბოსტოსაგან, მან უნდა აანაზღაუროს ზიანი.<sup>14</sup> თუმცა მძიმე მეტალი ტყვია შესაძლებელია ნიადაგიდან არსებობდეს, რომელზე მოყვანილი ხილი და ბოსტნეულიც ექვემდებარება რეალიზაციას.<sup>15</sup> ტყვიის ორგანიზმში მოხვედრა კი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მძიმე შედეგებს იწვევს.<sup>16</sup> აღსანიშნავია, რომ ტყვიის ორგანიზმში მოხვედრის უარყოფითი გავლენა დროთა განმავლობაში ვლინდება. ასევე, ქვეყანაში უამრავი ინდივიდუალური მეწარმეა, რომელსაც შესაძლებელია არ ჰქონდეს ინფორმაცია პროდუქტის უსაფრთხო წარმოების შესახებ, ამ შემთხვევაშიც მომხმარებელი დაუცველია.<sup>17</sup> აქედან გამომდინარე საჭიროა ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა და განსაზღვრა, ხომ არ იქნება მომხმარებელი მეტად დაცული, თუ „ნივთის“ ცნებაში გაერთიანდება პირველადი პროდუქტიც.

<sup>11</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>12</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>13</sup> სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>14</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 278.

<sup>15</sup> <<https://www.fda.gov/food/metals-and-your-food/lead-food-foodwares-and-dietary-supplements>> [13.05.2020].

<sup>16</sup> <<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/lead-poisoning-and-health>> [13.05.2020]

<sup>17</sup> შოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება“, N 2, 2007, 63.

წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე, საბჭოს დირექტივის პროდუქტის შესახებ განმარტება ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ განმარტებას. დირექტივის მიხედვით პროდუქტი მოიცავს მოძრავ ნივთებს, გარდა პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა.<sup>18</sup>

გერმანიის 1989 წლის 15 დეკემბრის „უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი.<sup>19</sup>

საჭიროა დადგინდეს რას ნიშნავს წუნდებული პროდუქტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით წუნდებულად მიიჩნევა პროდუქტი რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოსალოდნელ საიმედოობას.<sup>20</sup> დირექტივის მიხედვითაც პროდუქტი წუნდებულია, თუ ვერ უზრუნველყოფს მოსალოდნელ უსაფრთხოებას ყველა გარემოების გათვალისწინებით.<sup>21</sup> იქვე ჩამოთვლილია გარემოებები, რომელიც გასათვალისწინებელია პროდუქტის წუნდებულობის დასადგენად, კერძოდ პროდუქტის წარდგენა როგორ ხდება, სწორად არის თუ არა გამოყენებული პროდუქტი და მისი ბრუნვაში ჩართვის დრო. გერმანიის კანონის „უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონისა და დირექტივის ნორმები იდენტურია.<sup>22</sup>

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში მოცემული განმარტების მიხედვით, უსაფრთხოა პროდუქტი, რომელიც

---

<sup>18</sup> საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე, მე-2 მუხლი.

<sup>19</sup> Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, § 2.

<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>21</sup> საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე, მე-6 მუხლი.

<sup>22</sup> შდრ. გერმანიის კანონის „უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი ნაწილი და საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე მე-6 მუხლი.

დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს.<sup>23</sup> აქედან გამომდინარე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქათმის ფილემში ნაპოვნი ქათმის ძვალი, ან თევზის ფილემში ნაპოვნი ფხა დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს შეიცავს, როდესაც ადამიანი არ ელოდება მის არსებობას პროდუქტში, ვიდრე მათში აღმოჩენილი ფრჩხილი ან მწერი, თუმცა ფილემში ნაპოვნი ძვალი და ფხაც შესაძლებელია შეიცავდეს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

სახიფათოა პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება უსაფრთხო პროდუქტის განმარტებას.<sup>24</sup>

წუნდებულად შესაძლებელია ჩაითვალოს პროდუქტი, რომელიც შეუსაბამოა მომხმარებლის სამართლიანი მოლოდინისადმი, რომ ის არის უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და არ იწვევს ზიანს, თუმცა ეს არ არის საკმარისი ფაქტორი, რადგან უვნებელი პროდუქტიც შესაძლებელია იყოს წუნდებული, თუკი არ დააკმაყოფილებს მოსალოდნელ მოთხოვნებს. მაგალითად, თუ საწარმოს მიერ დამზადებული ტკბილეული შეიცავს დასაშვებზე მეტ შაქარს, დიაბეტით დაავადებული ადამიანისათვის ის იქნება წუნდებული, მაგრამ ჯანმრთელი ადამიანისათვის სრულიად უვნებელი.<sup>25</sup>

სუბიექტური თეორიის მიხედვით, რომლითაც განისაზღვრება მყიდველის მიერ როგორი ხარისხის ნივთი შეიძლება მოითხოვებოდეს, ნივთის ნაკლის

---

<sup>23</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>24</sup> იქვე, მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>25</sup> ბენდელიანი თ., ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, 38.

განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მხარეების მიზანი, ანუ თუ ნივთი მიზნისათვის გამოუსადეგარი, ის ნაკლის მქონეა.<sup>26</sup>

პროდუქტი შესაძლებელია იყოს წუნდებული, თუ მას არ ახლავს სათანადო გაფრთხილება პროდუქტის გამოყენებისათვის.<sup>27</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ ქართველმა კანონმდებელმა უხარისხო პროდუქტის ცნებაც უნდა განმარტოს, რადგან ის განსხვავდება წუნდებული პროდუქტისაგან, მისი გამოყენება დაუშვებელია და ექვემდებარება განადგურებას.<sup>28</sup>

წუნდებულ პროდუქტში გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის მოიაზრება, რადგანაც შესაძლებელია, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეუქმნას საფრთხე.<sup>29</sup>

პროდუქტის შესახებ ინფორმირებულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა მომხმარებელი შესაძლებელია არც ინტერესდებოდეს მისი უსაფრთხოებით. ამის მიუხედავად სახელმწიფოს, რომელსაც სამართლიანი და სოციალური ღირებულებები აქვს, ვალდებულება აკისრია, დაარეგულიროს და არ დაუშვას მიმწოდებლის დომინანტური მდგომარეობა მომხმარებელთან შედარებით, თუმცა ზემოთაღნიშნული არ გულისხმობს, რომ „სუსტ მხარეს“ არასამართლიანი მდგომარეობა შეექმნას მწარმოებელთან შედარებით.<sup>30</sup>

არის თუ არა საფრთხის შემცველი ე.წ. „ფასთ ფუდი“? დღესდღეობით ყველასათვის ცნობილია, რომ მისი იშვიათად მოხმარება არ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს, ხშირად მიღებამ კი შეიძლება მძიმე შედეგები გამოიწვიოს, რადგან შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმს,

<sup>26</sup> მესხიშვილი მ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულ და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004, 10.

<sup>27</sup> SPELLER V SEARS, ROEBUCK AND CO, ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლო, 2003 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება პარ 41.

<sup>28</sup> ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, თბილისი 2016, 528.

<sup>29</sup> იქვე, 545-548

<sup>30</sup> ზაალიშვილი ვ., სამომხმარებლო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, N 1-2, 2010, 57.



კალორიებს და ასევე შაქარს.<sup>31</sup> ამასთანავე, აღნიშნულმა საკვებმა შესაძლებელია გამოიწვიოს დამოკიდებულება მასზე, რაც გარკვეული პერიოდის შემდეგ არასასურველი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მათ შორის ფსიქიკისათვის.<sup>32</sup> თუმცა იმისდა მიუხედავად, რომ „ფასთ ფუდი“ გავლენას ახდენს ადამიანის კანზეც, ვერ დგინდება, რომ ის ნაკლის მქონეა და შესაძლებელია მწარმოებლის პასუხისმგებლობა დადგეს.<sup>33</sup>

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია და გასავითარებელია ამ კუთხით, შესაძლებელია ითქვას, წუნდებულ საკვებ პროდუქტად უნდა მოვიაზროთ საკვები, რომელიც არ არის პირველადი წარმოების და გამოიწვევს ადამიანის ჯანმრთელობის მოშლას, ან, უარეს შემთხვევაში, გარდაცვალებას, რის შემდეგაც სასამართლოსადმი მიმართვისას დადგინდება, რამდენად შეეძლო აღნიშნულ საკვებს ზიანის გამოწვევა. ასევე საჭირო იქნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რაზეც ასევე იქნება მსჯელობა ქვემოთ.<sup>34</sup>

## 2. საკვები პროდუქტის მომხმარებელი

„ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, მომხმარებელია.“<sup>35</sup> სხვა განმარტებით, „მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო სამართლის, ან სხვა სახელმწიფო რეგისტრაციას დაქვემდებარებული იურიდიული პირისგან საკუთარი საჭიროებისათვის იძენს პროდუქციას, ან

<sup>31</sup> < <https://www.healthchecksyste.ms.com/ffood.htm>>[03.08.2020].

<sup>32</sup> Frazier, D. A., "The Link between Fast Food and the Obesity Epidemic," Health Matrix: Journal of Law-Medicine 17, no. 2, 2007, 296, 297.

<sup>33</sup> Cantu, C. E. Fattening foods: Under products liability litigation is the big mac defective. Journal of Food Law and Policy, 1(1), 2005, 185.

<sup>34</sup> იხ. გვ 22.

<sup>35</sup> ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი(ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018, 30.

გააჩნია ასეთი განზრახვა.<sup>36</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით „მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარიგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.“<sup>37</sup>

შესაბამისად, მომხმარებლად უნდა ჩაითვალოს როგორც რესტორანში ვახშმის, ასევე ინტერნეტ-აპლიკაციის მეშვეობით საკვების შემკვეთი და სუპერმარკეტში ნახევარფაბრიკატების შემძენი ფიზიკური პირი.

მომხმარებლის უფლებების დაცვის გაძლიერებაში თვითონ მომხმარებლის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორც საქართველოა. პროდუქტის მწარმოებლის მიმართ გამოხატული უკუკავშირი წუნდებული პროდუქტის გამოვლენისას და სასამართლოსადმი მიმართვა - ხელს შეუწყობს მწარმოებლის მიერ სიფრთხილის ზომების გაძლიერებას და ასევე ჩამოაყალიბებს სასამართლო პრაქტიკას, რომელიც დაეხმარება მსგავს შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებაში მოსამართლეებს, ასევე კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს გამოააშკარავებს.

### **3. მზა საკვებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ადრესატი**

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ხარისხის შესახებ მოწმობის განმარტება, რაც გულისხმობს დოკუმენტს, რომელშიც დამამზადებელი ადასტურებს საკვები პროდუქციის წარმომავლობასა და

---

<sup>36</sup> ბუეკალავა ე., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013, 70.

<sup>37</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი.

მის შესაბამისობას ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებთან.<sup>38</sup> აღსანიშნავია, რომ ხარისხის მოწმობა არ მოითხოვება საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში, ასევე დამზადებული და რეალიზებული საკვები პროდუქტების შემთხვევაში.<sup>39</sup> აღნიშნული ბაღებს კითხვის ნიშნებს და გარკვეულწილად დაუცველობის შეგრძნებას აჩენს. შესაძლებელია, მეწარმეობის განვითარებისა და ეკონომიკურად გაძლიერების შემდგომ, ქვეყანაში კანონის აღნიშნული დათქმა შეიცვალოს, რადგან საზოგადოებრივი კვების ობიექტები განსაკუთრებულ კონტროლს საჭიროებენ, დღის განმავლობაში უამრავი მომხმარებლის არსებობიდან გამომდინარე. იგივე შეიძლება ითქვას დამზადებული საკვების რეალიზაციაზეც, რადგან, დატვირთული რეჟიმიდან გამომდინარე, ადამიანების უმრავლესობა სწორედ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს - კაფეებსა და რესტორნებს სტუმრობს, ასევე იყენებს გამზადებულ საკვებ პროდუქტებს. შესაბამისად უამრავი ადამიანის ჯანმრთელობა დგას რისკის ქვეშ.

ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით „მხარეები ასევე თანხმდებიან, განახორციელონ პოლიტიკა და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა არალეგალური, არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი პროდუქცია არ მოხვდეს სავაჭრო მიმოქცევაში და შესაბამის ბაზრებზე“. <sup>40</sup> აღნიშნულიც მოწმობს, რომ ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს ეკისრება ვალდებულება, იზრუნოს მომხმარებლებზე და მიიღოს ზომები, რომ პროდუქცია იყოს უსაფრთხო.

---

<sup>38</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 301/ნ „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“, III, 1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>39</sup> იქვე, IV, მე-7 პუნქტი.

<sup>40</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014, სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან, 234-ე მუხლი.

მწარმოებლად შესაძლებელია მოიაზრებოდეს მზა პროდუქტების, ან მათი შემადგენელი ნაწილების დამამზადებლები.<sup>41</sup>

ოცდამეერთე საუკუნეში, ადამიანების ყოველდღიური დატვირთული რეჟიმის შესაბამისად, მოთხოვნადია მზა საკვები, რომელიც ხელმისაწვდომია სუპერმარკეტებში, ასევე შეკვეთა შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით. ვინ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, როდესაც საკვების შემადგენელი კონკრეტული ინგრედიენტი, რომელმაც გამოიწვია ზიანი, არის შექმნილი გლეხისაგან და ითვლებოდა პირველად ნაწარმოებ პროდუქტად? ამ შემთხვევაში გლეხს ვერ მოვთხოვთ პასუხს, როგორც მწარმოებელს. მწარმოებლად ჩაითვლება ის, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი, ანუ ის, ვინც გლეხისაგან შეიძინა პროდუქტი, რომელიც შემდგომში გამოიყენა საკვების დასამზადებლად.<sup>42</sup> ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუკი ნაწარმოები პროდუქტის შემადგენელი ინგრედიენტი, რომელმაც გამოიწვია ზიანი-არის კონკრეტული კომპანიისაგან შექმნილი? მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადასტურების შემთხვევაში შესაძლებელია ითქვას, რომ საბოლოო პროდუქტის მწარმოებელს მოუწევს მტკიცება, რომ დამზადების პროცესმა არ იქონია ზეგავლენა პროდუქტის შემადგენელი ინგრედიენტის ზიანის წარმომქმნელად გადაქცევაში. ასეთ შემთხვევაში გლეხი პასუხს აგებს ზოგადად დელიქტური სამართლის საფუძველზე და არა წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმებით.<sup>43</sup> არ არის გამორიცხული სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც.<sup>44/45</sup>

<sup>41</sup> შოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება“, N 2, 2007, 66.

<sup>42</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 279.

<sup>43</sup> გეგიძე ნ., უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2012, 54.

<sup>44</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1013-ე მუხლი.

მწარმოებელი პასუხს აგებს წუნდებული პროდუქციის ბრუნვაში გაშვებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა: მაგალითად, დაზარალებულმა სხვა პირისაგან შეიძინა წუნდებული პროდუქტი, რომელსაც მწარმოებლისაგან ჰქონდა შეძენილი.<sup>46</sup> პურის მწარმოებელი ქარხანა აგებს პასუხს მაღაზიაში შეძენილი წუნდებული პურით გამოწვეული ზიანისათვის.<sup>47</sup>

რესტორანში ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის მოწამვლა. აუცილებელია გაკონტროლდეს, რამდენად აქვთ რესტორნის თანამშრომლებს ცოდნა და იცავენ თუ არა უსაფრთხოების წესებს.<sup>48</sup>

დაუდევრობის გამო რომ არ დადგეს ზიანი, რესტორნები ვალდებულნი არიან, გამოიჩინონ გონივრული ზრუნვა და შეინარჩუნონ უსაფრთხო გარემო, უზრუნველყონ უსაფრთხო პროდუქტის, ანუ კერძების დამზადება, რადგანაც დაუდევრობა შესაძლებელია გახდეს სარჩელის საფუძველი დაზარალებულის მხრიდან.<sup>49</sup>

#### 4. კავშირის დადგენა გამომწვევ მიზეზსა და დამდგარ შედეგს შორის

მწარმოებელს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში: ზიანის ანაზღაურებისათვის საჭიროა დაზუსტდეს, იყო თუ არა პროდუქტი წუნდებული იმ მომენტში, როდესაც მწარმოებლის

---

<sup>45</sup> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-6 მუხლის მე-4 ნაწილი.

<sup>46</sup> ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი, N 1, 2012, 92.

<sup>47</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკონტროლების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება N ას-751-1118-06.

<sup>48</sup> Manes Mindi R., Liu L., & Dworkin, Mark S. Baseline Knowledge Survey of Restaurant Food Handlers in Suburban Chicago: Do Restaurant Food Handlers Know What They Need to Know to Keep Consumers Safe? Journal of Environmental Health, vol. 76 No. 1, 2013, 18, 19.

<sup>49</sup> <<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/types-liability-lawsuits-food-poisoning.html?fbclid=IwAR2IHPJC7aE6bxlc9UEJRHcHJFGkSlEr7u7kULr-WbwtoXIIIEba6-4uRM8s8>> [15.07.2020].

კონტროლიდან გამოვიდა.<sup>50</sup> მწარმოებელი არ უნდა აღმოჩნდეს დაჩაგრულ მდგომარეობაში და საჭიროა მისი დაცვის მექანიზმიც, რათა არაკეთილსინდისიერმა მომხმარებელმა არ ისარგებლოს და არ მიაყენოს ფინანსური ზიანი მას. ზოგადად, მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და მწარმოებელს შორის პრობლემას წარმოადგენს.

არსებობს საშიშროება, რომ დაზარალებულისთვის მძიმე მტკიცების ტვირთის დაკისრებით მრავალი საქმე დაუმსახურებლად უშედეგოდ დასრულდება, მეორე მხრივ, თუ საკმარისი იქნება, მოსარჩელემ მიუთითოს, რომ პროდუქტის გამოყენებისას დაზარალდა, შესაძლებელია მწარმოებელს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც დაეკისროს, თუ მან სრულიად უსაფრთხო პროდუქტი განათავსა ბაზარზე.<sup>51</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ უმჯობესია, მტკიცების ტვირთი თანაბრად გადანაწილდეს მწარმოებელსა და დაზარალებულს შორის და ეს საკითხი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგდეს, შესაბამისად განსაზღვრული იქნება, მოსარჩელემ რომელი ფაქტები უნდა მიუთითოს სარჩელში და მოპასუხემ შესაგებელში, რომელთა დამტკიცება შემდეგში მოუწევთ მოსარჩელეებსა და მოპასუხეებს. რთულია, დაზარალებულმა ამტკიცოს, რა შეცდომა მოხდა პროდუქტის წარმოების პროცესში.<sup>52</sup> თუმცა აღნიშნულის პრაქტიკაში განხორციელება სავარაუდოდ რთული იქნება და უმჯობესია, მხარეები შეეცადონ, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე წარმოადგინონ ობიექტური მტკიცებულებები. მტკიცების ტვირთს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს - როგორც მტკიცებულებების შეგროვების სტადიაზე, ასევე მას შემდეგაც.<sup>53</sup> აღსანიშნავია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებაა საქართველოს სამოქალაქო

---

<sup>50</sup> Walters Stephen S., Products Liability and the Problem of Proof, Stanford Law Review, No. 6 1969, 1779.

<sup>51</sup> Walters Stephen S., Products Liability and the Problem of Proof, Stanford Law Review, No. 6 1969, 1781.

<sup>52</sup> შოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება“, N 2, 2007, 67.

<sup>53</sup> ბიოლინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004, 69.

კოდექსის 102-ე მუხლზე, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს საქმეში არსებული გარემოებები და აღნიშნული გადაწყვეტილებით პასუხისმგებლობა დაეკისრა მწარმოებელს.<sup>54</sup> კონკრეტული საქმიდან გამომდინარე შესაძლებელია, სასამართლომ მიიღოს არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

დირექტივის მიხედვით განსაზღვრულია, რომ დაზარალებულს მოეთხოვება, დაამტკიცოს ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა დეფექტსა და დამდგარ ზიანს შორის.<sup>55</sup> მართალია, მწარმოებლისათვის რთულია ამტკიცოს მრავალი წარმოებული და დამზადებული პროდუქტიდან ერთ-ერთი რომ არ იყო ზიანის შემცველი, მაგრამ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ დაზარალებულისათვის მტკიცების ტვირთის დაკისრება შესაძლებელია იყოს დამაბრკოლებელი სასამართლოსათვის მიმართვისა. დაზარალებულს შესაძლებელია არ ჰქონდეს იმედი, რომ ქვეყანაში არსებულ საკვების მწარმოებელ კომპანიებთან „შეჭიდებას“ შეძლებს და ზიანის მათი ბრალით წარმოშობას დაამტკიცებს. სწორედ მომხმარებლის აქტიურობა იქნება საფუძველი, რომ საკვების მწარმოებლებმა მეტად იზრუნონ მომხმარებლის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

მიზეზობრივი კავშირი შესაძლებელია დადგინდეს ტექნიკური, სამეცნიერო აღმოჩენებისა და ექსპერტის მოსაზრებების საშუალებით.<sup>56</sup>

თუ მოსარჩელე აცხადებს, რომ შეძენილი პროდუქტი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც სიმსივნის გამომწვევია, მან უნდა დაამტკიცოს ეს.<sup>57</sup> მოსარჩელისათვის, შესაძლებელია, მომგებიანი იყოს, თუ ის უბედურ

---

<sup>54</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 31 მაისის განჩინება N ას-ას-87-420-05.

<sup>55</sup> საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქტიაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე, მე-4 მუხლი.

<sup>56</sup> Deaconu Dascalu, D. Civil Liability for Damages Caused by Defective Product. International Conference Education and Creativity for Knowledge-Based Society, 2017, 70.

<sup>57</sup> Ausness, R. C. Tell me what you eat, and will tell you whom to sue: Big problems ahead for big food. Georgia Law Review, 39(3), 2005, 871.

შემთხვევას იზოლირებულად აჩვენებს, სხვა ნიმუშების მაგალითზე.<sup>58</sup> მოსარჩელის მხრიდან უნდა დამტკიცდეს, რომ პროდუქტის შემცველობამ გამოიწვია ზიანი. ზოგადად, მოპასუხეების მხრიდან არსებობს საშიშროება, რომ მათ მიერ დაქირავებულ ექსპერტებზე მოხდეს ზეწოლა და მათ განაცხადონ, რომ პროდუქტს არ შეეძლო გამოეწვია ზიანი.<sup>59</sup> ექსპერტების გამოცდილებასა და ობიექტურობას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ დასკვნაზეა დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილება.

„პროდუქტის ისტორია“ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას მტკიცებულებად შესაძლებელია გამოიყენოს როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ.<sup>60</sup> როდესაც პროდუქტი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, აღარ არსებობს, მსგავსი პროდუქტი, რომელიც იმავე დღეს არის ნაწარმოები, შესაძლებელია მტკიცებულებად გამოიყენებოდეს.<sup>61</sup> თუმცა ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, რომ პროდუქტი მსგავსი იყოს და არ გამოიწვიოს შეცდომა.<sup>62</sup>

რაც შეეხება ფიზიკური დაზიანებიდან გამომდინარე ემოციური ზიანის დადგენას, შედარებით მარტივია, მაგალითად, თუ დაზარალებულმა დაკარგა სიცოცხლის ხალისი.<sup>63</sup>

მორალური ზიანის დადგენისას სასამართლო შესაძლებელია დაეყრდნოს სამედიცინო ცნობას, რომელშიც მიეთითება, რომ მიღებული ჯანმრთელობის დაზიანებების სამკურნალოდ ოპერაციის ჩატარებისას დაზარალებულმა მიიღო ფსიქოლოგიური სტრესი და განიცადა დეპრესია.<sup>64</sup>

ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებულ დაზარალებულის განცხადებას, რომლის

---

<sup>58</sup> Rheingold, P. D. Proof of defect in product liability cases. Tennessee Law Review, 38(3), 1971, 331.

<sup>59</sup> იქვე, 328.

<sup>60</sup> Rheingold, P. D. Proof of defect in product liability cases. Tennessee Law Review, 38(3), 1971, 331-332.

<sup>61</sup> იქვე, 332.

<sup>62</sup> იქვე, 333.

<sup>63</sup> Omri B-S., Porat A., The restoration remedy in private law, Columbia Law Review, No. 6, 2018, 1912.

<sup>64</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის განჩინება N 28/3730-18.



საფუძვლებზე ჩატარდა კვლევა და შემოწმდა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის მიერ.<sup>65</sup> შემოწმების საფუძველზე კი ობიექტს დაუწესდა სანიტარული კონტროლი და ადმინისტრაციული სახდელი. აღნიშნულ საქმეში მოპასუხე მოითხოვდა სასამართლოს მიერ გამოკვლევას, ხომ არ დაბინძურდა პური არა წარმოებისას, არამედ სასურსათო მაღაზიაში და ასევე ნამდვილად ის პური შემოწმდა თუ არა, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის მოწამვლა.

საკვებით გამოწვეული ზიანის დადგომისას რთულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ კონკრეტულმა საკვებმა გამოიწვია ზიანი. აქედან გამომდინარე, ზიანის გამომწვევი მიზეზის დასადგენად სასურველია და ბევრად გაამარტივებს გადაწყვეტილების მიღებას, თუ საკვები იდენტიფიცირებული იქნება და იზოლირებულად შენახული. ასევე დაზარალებულმა უნდა მიმართოს ექიმს, რომელიც დაადგენს ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზს და მოწამლული საკვების იდენტიფიცირებას შეძლებს, რადგან დაზარალებულმა შესაძლებელია დილით მიირთვას საკუთარ სახლში, შემდგომში რესტორანში მიიღოს საკვები და შეექმნას ჯანმრთელობის პრობლემები.<sup>66</sup>

სამედიცინო ექსპერტს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა, რადგან მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს დაეყრდნობა მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას. მისი მსოფლმხედველობა უნდა იყოს ფართო და იგი მზად უნდა იყოს სამედიცინო ექსპერიმენტებისა და ექსპერტიზის ჩასატარებლად, რათა დადგინდეს სიმართლე. ასევე, ექსპერტი არ უნდა იყოს მიმნდობი, რათა ხელი არ შეეშალოს რეალობის დადგენას.<sup>67</sup>

---

<sup>65</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება N ას-751-1118-06.

<sup>66</sup> <<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/types-liability-lawsuits-food-poisoning.html?fbclid=IwAR2IHPJC7aE6bxlc9UEJRHcHJFGkSler7u7kULr-WbwtoxiIEba6-4uRMs8>>[15.07.2020].

<sup>67</sup> Burnford, J. Food poisoning. *Medico-Legal and Criminological Review*, 6 no. 1, 1938, 60.

დაზარალებულს ძირითადად შესაძლებელია მოეთხოვოს მტკიცება იმისა, რომ: პროდუქტი წარმოებისას ან გაყიდვისას არ აკმაყოფილებდა მოსალოდნელ მოთხოვნებს. ივარაუდებოდა, რომ პროდუქტს უნდა მიეღწია მომხმარებლამდე ცვლილების გარეშე, ანუ იმ სახით, როგორც მიეწოდა დაზარალებულს და მოსარჩელე დაზიანდა კონკრეტული პროდუქტისაგან.<sup>68</sup>

რადგან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცება რთულია აღნიშნულ შემთხვევაში, დაზარალებულს არ უნდა მოეთხოვოს პროდუქტის ისტორიის შესწავლა მისი წარმოების დღიდან ბაზარზე განთავსების და რეალიზაციის თუ ვადის გასვლის პერიოდის ჩათვლით, რადგან ასეთ შემთხვევებში საქმის მოგება იქნებოდა სრულიად წარმოუდგენელი.<sup>69</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ნორმები, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, ქმნის სამართლებრივ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც დაზარალებულს შესაძლებლობა აქვს იდავოს სასამართლოში. დელიქტური ვალდებულებების შემთხვევაში დაზარალებული დაცულია კანონის მიერ-და ხელშეკრულების არარსებობის მიუხედავად შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. რადგან ხელშეკრულების არარსებობის გამო დაზარალებულს არ შეუძლია განსაზღვროს ზიანის არსებობის წინაპირობები და პასუხისმგებლობის სახე, საჭიროა კანონი აწესრიგებდეს ზიანის წარმოშობის საკითხებს იმგვარად, რომ დაზარალებული დაცული იყოს. მაგალითად, წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ არსებულ ნორმებში, კერძოდ კი „ნივთის“ ცნებაში საჭიროა შედიოდეს პირველადი პროდუქტებიც. საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, რადგან არ კონტროლდება თვითდასაქმებული ფერმერების მიერ მოყვანილი და რეალიზებული

---

<sup>68</sup><<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/strict-product-liability-laws.html>>[15.07.2020].

<sup>69</sup><<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/strict-product-liability-laws.html>>[15.07.2020].

პროდუქტი, მომხმარებლის უსაფრთხოებისათვის საჭიროა პირველადი პროდუქტებით მიყენებული ზიანიც ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიხედვით უსაფრთხო პროდუქტის განმარტების მისადაგება რეალურ შემთხვევასთან და მისი პრაქტიკაში გამოყენება საინტერესო იქნება- აღნიშნული ნორმის მიზნის დასადგენად. კერძოდ რა იგულისხმება ტექსტში, რომ პროდუქტი უსაფრთხოა, თუ შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს? შეიძლება განისაზღვროს, რომ, მაგალითად, ვირთაგვას ექსკრემენტების არსებობა ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დაუშვებელი რისკია. ქათმის ხორცში ქათმის ძვლების არსებობა, შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით დასაშვები რისკის შემცველია, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას ქათმის ხორცისგან დამზადებულ ფილეში აღმოჩენილ ქათმის ძვლებზე, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში მომხმარებელს არ აქვს მოლოდინი, რომ საკვებში აღმოჩნდება ძვალი, რომელმაც შეიძლება ადამიანის დაზარალებაც კი გამოიწვიოს. შესაბამისად, ასეთი პროდუქტი შეიძლება სახიფათოდ ჩაითვალოს.

პროდუქტის შეფუთვისა და მომხმარებლისათვის სწორი კონსულტაციის გაწევას - ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან შესაძლებელია დასაშვებზე მეტი შაქრის შემცველი ტკბილეული, დიაბეტით დაავადებული ადამიანისათვის წუნდებული და ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

კაცობრიობის მიერ წარმოებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად წუნდებული საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შემთხვევებში მრავალი საკითხი მოითხოვს დარეგულირებას. ამიტომ საჭიროა, რომ საქართველოში შეიქმნას სასამართლო პრაქტიკა, რომლის დახმარებით კანონმდებლობაც დაიხვეწება. ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე

საქართველოს აქვს ვალდებულება, აღკვეთოს არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი პროდუქტის ბაზარზე მოხვედრა. აქედან გამომდინარე, მზა საკვების შექმნისას მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით უმჯობესი იქნებოდა ხარისხის შესახებ მოწმობა რომ მოეთხოვებოდა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში, ასევე დამზადებული და რეალიზებული საკვები პროდუქტების რეალიზაციის შემთხვევაში.

მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე მსჯელობისას საჭიროა გათვალისწინება, რომ არ უნდა შეილახოს მწარმოებლის უფლებებიც. საჭიროა ბალანსის დაცვა. ზიანის დადგომის შემთხვევაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის პროცესში არსებობს რისკი, რომ ერთ-ერთი მხარე აღმოჩნდეს „დაჩაგრული“, რადგან ზიანის დამტკიცება რთულ ამოცანას წარმოადგენს დაზარალებულისთვის, მწარმოებლისთვის კი რთულია ამტკიცოს, რომ ზიანის დადგომას არ აქვს კავშირი მის მიერ წარმოებულ პროდუქტთან. თუმცა ამ საკითხების მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე და ნორმების სახით ჩამოყალიბება თუ რა მტკიცებულებები უნდა წარმოადგინონ მხარეებმა რთული იქნება, რადგან შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ამიტომ უმჯობესი იქნება, მხარეები შეეცადონ, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე წარმოადგინონ ობიექტური მტკიცებულებები. თუმცა მისაღებია მოსაზრება, რომ მტკიცების ტვირთი თანაბრად გადანაწილდეს დაზარალებულსა და მწარმოებელს შორის. ამგვარმა მოწესრიგებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, რადგან დაზარალებულს აღარ ექნება დაკისრებული მძიმე მტკიცების ტვირთი და შეძლებს, იდავოს სასართლოში დარღვეული უფლებების აღსადგენად.

საკვები პროდუქტით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკური განვითარების დონეს ქვეყანაში, ასევე ექსპერტების პროფესიონალიზმს, გამოცდილებას და მიუკერძოებლობას.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია შემთხვევების არსებობა, რომ დაგროვდეს გამოცდილება.

### III. ზიანის ანაზღაურების ფარგლები

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ზიანის სრულყოფილ დეფინიციას, მაგრამ ერთ-ერთი განმარტებით ზიანი გულისხმობს არაპირდაპირ ხელყოფას, როდესაც წუნდებულმა ან ვადაგასულმა პროდუქტმა შესაძლებელია გამოიწვიოს სხეულის დაზიანება, ან გარდაცვალება.<sup>70</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ზიანის ანაზღაურებას სოციალურ-სამართლებრივი ფუნქცია აქვს, რაც გამოიხატება ზიანის მიყენებლისათვის დაკისრებულ ანაზღაურებაში, რომელიც უნდა დაეხმაროს დაზარალებულს ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიზანია ყველაზე შესაბამისი ანაზღაურების დადგენა, დაზარალებულის უფლებების და ინტერესების დაცვა ფულადი კომპენსაციით.<sup>71</sup>

საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრული არ არის ზიანის ანაზღაურების ოდენობა და არც რაიმე სახელმძღვანელო არსებობს, რომელიც მიმართულებას მისცემს მოსამართლეს ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას, სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მხოლოდ აბსტრაქტულ დებულებებს, რომელთა პრაქტიკაში გადატანა და კონკრეტული საქმიდან გამომდინარე შესაბამისი და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება სრულად მოსამართლეზე არის დამოკიდებული.<sup>72</sup> ასეთ შემთხვევაში მრავალფეროვანი და საქმეებით გამდიდრებული პრაქტიკა მნიშვნელოვანია - როგორც მოსამართლეების საქმიანობისათვის, ასევე კანონმდებლობის დახვეწისათვის.

სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას დაზარალებულს აუნაზღაურდეს მას, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ასევე მიუღებელი შემოსავალიც.

რეალური, იგივე საკომპენსაციო ზიანის მიზანია, დაუბრუნოს დაზარალებულს რაც მას ეკუთვნოდა. მიუღებელი შემოსავლისაგან

<sup>70</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 394.

<sup>71</sup> სახელმძღვანელო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 651.

<sup>72</sup> იქვე.

გასასხვავებლად რეალურ ზიანს უწოდებენ პოზიტიურ ზიანს, რაც გულისხმობს- უკვე არსებულს.<sup>73</sup>

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას სოციალური ფუნქცია აკისრია და მნიშვნელოვანია დაზარალებულის უფლებების დასაცავად. თუ დაზარალებული დამდგარი ზიანიდან გამომდინარე ვერ ახერხებს იმ შემოსავლის მიღებას, რომელსაც იგი მიიღებდა ზიანის არარსებობის შემთხვევაში, სამართლიანია, რომ მას აუნაზღაურდეს აღნიშნული შემოსავალი.

ზიანის ანაზღაურებას გააჩნია ზიანის დადგომამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისა და პრევენციული ფუნქციები, მაგალითად, აიძულოს მწარმოებელი, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა მწარმოებელმა თავიდან აიცილოს საკომპენსაციო თანხის გადახდა. არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში ასევე სატისფაქციური ფუნქციაც არსებობს, როდესაც ზიანის ანაზღაურების მიზანია დააკმაყოფილოს დაზარალებული.<sup>74</sup>

ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხმა შესაძლოა განსაზღვროს, რამდენად ღირს სარჩელის შეტანა სასამართლოში, თუმცა ნებისმიერ დაუდევრობას მოწარმოებლის მხრიდან სასურველია მოყვეს უკუკავშირი, რადგან თუ ერთმა მომხმარებელმა მიიღო მსუბუქი დაზიანება, შესაძლებელია მომავალში უფრო მძიმე შედეგები მოყვეს იგივე მწარმოებლის მიერ ბრუნვაში ჩაშვებულ პროდუქტს.

## **1. ზიანის ანაზღაურების ფარგლები ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში**

ჯანმრთელობის უფლება მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც მიიჩნევა არაქონებრივად. ადამიანის სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობა

<sup>73</sup>სახელმწიფო სასამართლო, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 652.

<sup>74</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლადო ჭანტუიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 697.

დამოკიდებულია ჯანმრთელობაზე.<sup>75</sup> ჯანმრთელობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებაა.<sup>76</sup>

ასოცირების ხელშეკრულების თანახმად მხარეები თანხმდებიან, რომ სურთ „გააუმჯობესონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების დონე და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, როგორც მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ელემენტი“.<sup>77</sup>

საკვებით მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას და სწორედ ამიტომ არის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ფართო.<sup>78</sup> შეიძლება ითქვას, რომ ერთი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მთელი საზოგადოება არის საფრთხის ქვეშ და ზიანის ანაზღაურებას აქვს პრევენციული ხასიათი. შესაბამისად, რაც უფრო მაღალი იქნება ზიანის ანაზღაურების ოდენობა, უფრო მეტად დაიცავს მწარმოებელი უსაფრთხოების წესებს. თუმცა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და არ აყენებს მწარმოებელს დაზარალებულის პოზიციაში.

საკვებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში პრობლემატურია მომხმარებლების ცნობიერება, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში, როდესაც ისინი არ მიმართავენ სასამართლოს კომპენსაციის მისაღებად. სხვადასხვა ფაქტორები, მაგალითად სოციალურ-ეკონომიკური, მედიასაშუალებები, რეკლამა, მეგობრების გამოცდილება და რჩევები ახდენს იმაზე გავლენას, თუ რამდენად ხშირია დაზარალებულის

---

<sup>75</sup> ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N 3, 2016, 104.

<sup>76</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>77</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014, სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან, პრეამბულა.

<sup>78</sup> Redding, R. W. Economic loss from defective products. Willamette Law Journal 4, N 3, 1967, 405.



მიერ სასამართლოში მიმართვიანობა.<sup>79</sup> აღნიშნული პრობლემა დღესაც არსებობს საქართველოში, ისევე, როგორც არსებობდა - 90-იან წლებში ამერიკაში, მაგალითად ათი ადამიანიდან მხოლოდ ერთი ადამიანი თუ გაიღებდა ძალისხმევას კომპენსაციის მისაღებად.<sup>80</sup>

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით ზიანის ანაზღაურების საფუძველია დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება შინაგანი ორგანოების დარღვევით, მაგალითად მოწამვლის შედეგად.<sup>81</sup> პირის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურდება მკურნალობისა და დაზარალებულის მიერ გაწეული ხარჯები, ასევე შრომისუუნარობის შემთხვევებში თუ დაზარალებულის საჭიროებები გაიზარდა.<sup>82</sup> იგივე ნორმის მიხედვით დაშვებულია არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა. გერმანიის კანონმდებლობა განსაზღვრავს პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 85 მილიონ ევროს.<sup>83</sup> ზემოხსენებულ თანხას არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე დაზარალებულისთვის ანაზღაურება, ამ შემთხვევაში ინდივიდუალური ანაზღაურება უნდა შემცირდეს პროპორციით, მაქსიმალური ჯამით.<sup>84</sup> დირექტივის მიხედვით შესაძლებელია წევრმა სახელმწიფოებმა განსაზღვრონ მწარმოებლის სრული პასუხისმგებლობა ზიანისათვის, როდესაც პროდუქტმა გარდაცვალება, ან ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია, მაგრამ პასუხისმგებლობის ოდენობა არ უნდა იყოს 70 მილიონ ევროზე ნაკლები.<sup>85</sup> დირექტივა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის

---

<sup>79</sup> Redding, R. W. Economic loss from defective products. Willamette Law Journal 4, N 3, 1967, 1019.

<sup>80</sup> იქვე.

<sup>81</sup> კროფჰოლერ ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიასა და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის, თ. დარჯანიასა და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 627.

<sup>82</sup> Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, § 8

<sup>83</sup> Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, § 10-ს პირველი ნაწილი.

<sup>84</sup> იქვე, § 10-ს მეორე ნაწილი.

<sup>85</sup> საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქტიაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და

სავალდებულო ძალის მქონე არ არის და საჭიროა ეროვნულ კანონმდებლობაში მისი გადატანა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება.<sup>86</sup> იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, სავარაუდოდ ზემოხსენებული დირექტივის მოთხოვნა მინიმალური ზიანის ოდენობაზე, რომელიც 70 მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს, ქვეყნის თავისებურებებიდან და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში სხვაგვარად აისახება და მწარმოებელს არ დაეკისრება იმდენად დიდი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებისას, რომ შემდგომში ვეღარ გააგრძელოს საქმიანობა და გაკოტრდეს.

პროდუქტით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1014-ე მუხლთან ერთად ანალოგიით გამოიყენება 408-ე მუხლი, რომლის მიხედვით, შრომის უნარის დაკარგვის ან შემცირებისას შესაძლებელია ზიანის ანაზღაურება, ასევე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის ერთ-ერთი განმარტება ასეთია: „კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია, გაიღოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯები (თანხა)“<sup>87</sup>. აღნიშნულ მუხლს აქვს სოციალური და სამართლებრივი ფუნქცია.<sup>88</sup>

ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში საჭიროა ანაზღაურდეს მკურნალობის, სამედიცინო მომსახურების, ტრანსპორტირებისა და სხვადასხვა ხარჯები.<sup>89</sup>

ქონებრივ ზიანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზიანების გამო მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო ამ დაზიანებისგან

---

ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე, მე-16 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>86</sup> <<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/83802>>[01.08.2020].

<sup>87</sup> ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 49.

<sup>88</sup> ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, თბილისი 2016, 551.

<sup>89</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 394.

გამოწვეული ტკივილი არის არამატერიალური ზიანი.<sup>90</sup> მკურნალობასთან დაკავშირებული ქონებრივი ზიანი შესაძლებელია იყოს საკმაოდ მაღალი, სამედიცინო მომსახურების ფასების გათვალისწინებით. დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანია, რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დანაკარგს.<sup>91</sup> აღსანიშნავია, რომ მატერიალური ზიანის ოდენობად განისაზღვრა 800 ლარი მაღაზიაში შეძენილი პურის მიღების შემდეგ მოწამვლისას 2005 წელს.<sup>92</sup>

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მოპასუხეს დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს სახით 756 ლარის გადახდა და ასევე გაწეული მკურნალობის ხარჯები 166 941 ლარის ოდენობით, გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ დაზარალებულის პროფესიიდან გამომდინარე ჯანმრთელობის დაზიანების გამო ვეღარ მოახერხებდა დასაქმებას. ყოველთვიური სარჩოს სახით ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა სასამართლომ ხელფასის მიხედვით მიიჩნია მიზანშეწონილად და არა შრომის ანაზღაურების გათვალისწინებით, მაგალითად დამატებული ღამის საათების ანაზღაურების შესაბამისად.<sup>93</sup>

სასამართლომ შესაძლებელია გაითვალისწინოს დაზარალებულის საზღვარგარეთ მკურნალობისათვის საჭირო ხარჯები და მისი ჯანმრთელობისათვის საუკეთესო გზებით სამკურნალოდ საჭირო თანხა დააკისროს ზიანის მიმცენებელს. მართალია, ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილება არ ეხება საკვებით მიცენებული ზიანის ანაზღაურებას,

---

<sup>90</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლადო ჭანტურის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 701.

<sup>91</sup> ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 110.

<sup>92</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება N ას-751-1118-06.

<sup>93</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება N 2/ზ-614.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ზიანის ანაზღაურების ამგვარი პრაქტიკა არსებობს და შესაძლებელია ანალოგიით აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა.

1985 წელს ილინოისისა და მიმდებარე შტატებში 180 000-ზე მეტი ადამიანი დაზიანდა რძეში მოხვედრილი სალომენლას ბაქტერიის დაბინძურების შედეგად, კერძოდ მათ აღენიშნებოდათ კრუჩხვები, გულისრევა, დიარეა და სხვა სიმპტომები. სასამართლოში მიმდინარეობდა ე.წ „მასობრივი საქმისწარმოება“, რადგან ათასობით დაზარალებულმა შეიტანა საჩივარი რძის მწარმოებელი კომპანიის წინააღმდეგ.

კომპანია “Johnson & Johnson“-ის წინააღმდეგ 2014 წლიდან მიმდინარეობს პროცესები.<sup>94</sup> აღსანიშნავია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ მისურის შტატში მიღებული გადაწყვეტილება კომპანია „Johnson & Johnson“-ის საქმეზე, რომლის მიხედვით კომპანიას დაეკისრა 4.69 მილიარდი დოლარის გადახდა, რადგან დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოებული ფხვნილი არის სიმსივნის გამომწვევი.<sup>95</sup> აღნიშნული საქმის ექვსი მოსარჩელე გარდაიცვალა საქმის განხილვის დაწყებამდე და კიდევ ხუთი გარდაიცვალა საქმის დასრულებამდე.<sup>96</sup> აღნიშნულ შემთხვევაში ზიანის ოდენობა გამოთვლილია ე.წ “punitive damages“-ის მიხედვით, რომელიც ამერიკულ სამართალში ზიანის ერთ-ერთი სახეა და მიყენებულ ზიანზე ბევრად მეტ ოდენობას ანაზღაურებს.<sup>97</sup> რადგან საქართველოს კანონმდებლობა გერმანული სამართლის გავლენით არის შექმნილი, ზიანის ანაზღაურების ზემოხსენებულ გზებს არ იზიარებს და, როგორც ზემოთ ითქვა, ვერც შეძლებს ზიანზე ბევრად მეტი ანაზღაურების დაკისრებას მწარმოებლისათვის, ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

ფართოდ გავრცელებული ზიანის შემთხვევაში, როგორც შეიძლება იყოს ფიზიკური ტკივილი, მენტალური ტანჯვა, ან ცხოვრების ხარისხის გაუარესება, რთულია საკომპენსაციო თანხის განსაზღვრა და კონკრეტულ

<sup>94</sup> < [https://www.washingtonpost.com/business/economy/faa-to-change-how-it-reviews-aircraft-designs/2020/05/19/fe3cc37a-99e7-11ea-ac72-3841fcc9b35f\\_story.html](https://www.washingtonpost.com/business/economy/faa-to-change-how-it-reviews-aircraft-designs/2020/05/19/fe3cc37a-99e7-11ea-ac72-3841fcc9b35f_story.html)>[11.08.2020].

<sup>95</sup> <<https://www.nytimes.com/2020/06/23/health/baby-powder-cancer.html>>[11.08.2020].

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> სახელმეცრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 674.

შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლე.<sup>98</sup> მართლაც რთულია რაიმე ფორმულის ჩამოყალიბება და ზიანის ოდენობის გამოთვლა, რადგან თითოეული შემთხვევა შესაძლებელია საჭიროებდეს ინდივიდუალურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებას.

ზიანის მეორე სახეობად შესაძლებელია დასახელდეს ე.წ ფაქტობრივი, ხილული ზიანი, რომლის გამოთვლაც შედარებით მარტივია. ამგვარი ზიანის სახეებია ხელფასისა და მისი გამომუშავების შესაძლებლობის დაკარგვა, სამედიცინო ხარჯები (დახარჯული და მომავალში გამოსაყენებელი), საყოფაცხოვრებო ხარჯები, შეცვლილი გეგმები და გადადებული მოგზაურობა.<sup>99/100</sup>

ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის მიერ გაწეული მკურნალობისა და მედიკამენტების ხარჯები. ასევე არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მომავალში საჭირო სავარაუდო სამედიცინო ხარჯები. გასათვალისწინებელია ასევე შრომისუუნარობის შემთხვევაში ყოველთვიური სარჩოს ოდენობა, რომელიც შესაძლებელია დაკარგული ხელფასის ოდენობით დაკმაყოფილდეს, რაც დაზარალებულის მდგომარეობის შეუსაბამო იყოს, რადგან მას მეტი საჭიროება გააჩნდეს ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანს. შესაბამისად, სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა. მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის არსებობისათვის, მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების საბაზრო ფასებს, რომელიც საჭიროა სამკურნალოდ.

---

<sup>98</sup><<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/special-general-damages.html>> [12.08.2020].

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup><<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/types-of-compensation.html>>[12.08.2020].

გასათვალისწინებელია მიუღებელი შემოსავლის ოდენობის გამოთვლის საკითხი, რაც საკმაოდ რთულია მოსამართლისათვის.

სასამართლოს ამოცანაა მიუღებელი შემოსავლის ნაწილში გადაწყვეტილება იმგვარად მიიღოს, რომ ამან არ გამოიწვიოს დაზარალებულის ქონების გაზრდა და მისი უსაფუძვლოდ გამდიდრება.

მიუღებელი შემოსავლის გადახდის დაკისრებისას მოსამართლე უნდა დაეყრდნოს უტყუარ მტკიცებულებებს, რომელიც საჭიროა წარმოადგინოს დაზარალებულმა, რომელსაც აკისრია მძიმე მტკიცების ტვირთი ასეთ შემთხვევაში. მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა და დაადასტუროს მათი ნამდვილობა დოკუმენტების საფუძველზე, რათა მოსამართლემ შეძლოს, ზუსტად განსაზღვროს მიუღებელი შემოსავლის ოდენობა, რადგან თუ ზიანი ვერ წარმოჩნდება კონკრეტულ რიცხვებში, მისი ანაზღაურება შეუძლებელი იქნება.<sup>101</sup>

## 2. ზიანის ანაზღაურების ფარგლები სიცოცხლის მოსპობისას

წუნდებული საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შედეგად დამდგარი სიცოცხლის მოსპობისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1014-ე მუხლთან ერთად ასევე ანალოგიით შესაძლებელია ამავე კოდექსის 1006-ე მუხლის გამოყენება რომლითაც განისაზღვრება კომპენსაციის მიმღებ პირთა წრე.<sup>102</sup>

პირის გარდაცვალების შემთხვევაში პასუხისმგებლობა გულისხმობს დაკრძალვისა და გარდაცვალებამდე მკურნალობის ხარჯებს, ასევე მარჩენალდაკარგულის მიმართ ასანაზღაურებელ ყოველდღიურ ხარჯებს.<sup>103</sup>

10 000 ლარი მიიჩნევა გონივრულ თანხად გარდაცვლილის დაკრძალვისათვის საბაზრო ფასების გათვალისწინებით.<sup>104</sup>

<sup>101</sup> სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 654.

<sup>102</sup> ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, თბილისი 2016, 551.

<sup>103</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 395.

დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ კომპენსაციის ოდენობაში გასათვალისწინებელია გარდაცვალებამდე მკურნალობის ხარჯები, შემოსავლის დაკარგვა, მეგობრობის ან კონსორციუმში მონაწილეობის უფლების დაკარგვა, ასევე ოჯახის წევრების, ახლობლების ასევე საყვარელი ადამიანების მიერ განცდილი სტრესი.<sup>105</sup>

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალდაკარგულ პირებს უნდა აუნაზღაურდეთ ზიანი გარდაცვლილის ხელფასიდან იმ ოდენობის თანხით, რომელსაც ისინი მიიღებდნენ მარჩენალის სიცოცხლეში. თუ კომპენსაციის მიღების უფლების მქონე არ იმყოფებოდა გარდაცვლილის კმაყოფაზე, მაგრამ იღებდა თანხას ან უფლება ჰქონდა მიეღო, თუ განსაზღვრული არ იყო თანხის ოდენობა, იგი უნდა დადგინდეს გარდაცვლილისა და კომპენსაციის მიმღები პირის ქონების მიხედვით.<sup>106</sup> თუმცა ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კომპენსაციის მიღებამ არ უნდა გამოიწვიოს მისი მიმღების უსაფუძვლო გამდიდრება. თუკი თანხა არ იქნება განსაზღვრული, საჭიროა სამართლიანობისა და გონივრულობის გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად კომპენსაციის დაკისრება მოსამართლის მიერ.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის მიმღებ პირებად ჩაითვლებიან გარდაცვლილის არასრულწლოვანი შვილები, ბავშვი, რომელიც გარდაცვალების შემდგომ დაიბადა, გარდაცვლილის შვილიშვილები, და-ძმები, რომლებიც არასრულწლოვანები არიან, ან საჭიროებენ მოვლას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. აგრეთვე არასრულწლოვანი და შრომისუუნარო პირები, რომლებიც

---

<sup>104</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება N ას-1800-2019.

<sup>105</sup> <<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/types-of-compensation.html>>[11.08.2020].

<sup>106</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ. ჰანტურისას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 425-426.

გარდაცვალების მომენტისათვის იმყოფებოდნენ მის კმაყოფაზე, ან ჰქონდათ უფლება, მიეღოთ მისაგნ სარჩო.<sup>107</sup>

მოსამართლემ შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული შრომისუნარო პირების იდენტიფიცირებაც უნდა მოახერხოს და დააკისროს ზიანის მიმყენებელს სარჩოს გადახდა მათ სასარგებლოდ, იქნებიან ისინი საპენსიო ასაკის მქონე თუ სხვა შესაძლებლობების არმქონე პირები.

სარჩოს მიღების უფლება აქვს ასევე ოჯახის წევრს, რომელიც არ მუშაობს და საოჯახო საქმიანობას ეწევა. ზიანის მიმყენებელმა სარჩო იმ ვადის განმავლობაში უნდა გადაიხადოს, რა ვადითაც ევალუბოდა მისი გადახდა გარდაცვლილს, მაგალითად არასრულწლოვანისათვის სრულწლოვანების მიღწევამდე.<sup>108</sup>

### **3. საკვების მწარმოებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების ფარგლები**

დირექტივის მიხედვით ერთი და იმავე ზიანისათვის ორი ან მეტი პირი ერთობლივად არის პასუხისმგებელი.<sup>109</sup>

სოლიდარული პასუხისმგებლობის საშუალებით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს თითოეული მოვალისაგან ზიანის სრული, ან ნაწილობრივი ანაზღაურება. კრედიტორს შეუძლია, თანხის ანაზღაურება სრულად იმ მოვალეს დააკისროს, რომელსაც აქვს საკმარისი ქონება და შეუძლია აანაზღაუროს ზიანი.<sup>110</sup>

---

<sup>107</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ. ჰანტურის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 425-426.

<sup>108</sup> იქვე, 426.

<sup>109</sup> საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე, მე-5 მუხლი.

<sup>110</sup> დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009, 54.



გერმანიის ფედერაციული კანონმდებლობის მიხედვით სოლიდარული პასუხისმგებლობისას კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებულია მხარეების მიერ მიყენებული ზიანის ხასიათზე.<sup>111</sup>

სოლიდარულ მოვალეებს ვალდებულებები შესაძლებელია ჰქონდეთ როგორც მეორე მხარის მიმართ, ასევე ერთმანეთის მიმართაც. ერთმანეთის მიმართ ვალდებულებები ძირითადად მაშინ წამოიწევს წინ, როდესაც მეორე მხარესთან სრულდება ვალდებულება. ე.წ „შიდა“ ურთიერთობებით განსაზღვრული წილის შესაბამისად სრულდება შემდგომში სოლიდარული მოვალეების მიერ ვალდებულება.<sup>112</sup>

#### **4. წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები**

მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა კაცობრიობის განვითარების მაღალ საფეხურზე გადასვლას გულისხმობს. მორალური ზიანის ოდენობის გამოთვლა რთულია და მოსამართლისაგან მოითხოვს სამართლიანობასა და გონივრულობას. აღნიშნულ ქვეთავში განიხილება მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების და დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლესათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საკითხები.

##### **4.1 მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი**

---

<sup>111</sup> Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte, § 5

<sup>112</sup> სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 718, 719.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი საქართველოში 1928 წლიდან დღემდე,<sup>113</sup> თუმცა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მხოლოდ ბოლო წლებში ჩანს მორალური ზიანის ანაზღაურების დამკვიდრება და გავრცელება.

თანამედროვე ცხოვრებაში ადამიანის ემოციურ ინტერესებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „ემოციური სარგებლის“ მისაღებად ადამიანები მზად არიან, თანხა გადაიხადონ და სხვადასხვა ინსტიტუტები მზად არიან, დაიცვან ადამიანების ემოციური ინტერესები.<sup>114</sup> მართლაც, კაცობრიობის განვითარებასთან და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად დგება პიროვნების ემოციური ინტერესების დაცვის საკითხიც. შესაბამისად, სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ მდიდარი ეკონომიკის მქონე და განვითარებულ ქვეყნებში სასამართლომ შესაძლებელია უფრო მეტ შემთხვევაში გაითვალისწინოს დაზარალებულის ემოციური მდგომარეობა, ვიდრე საქართველოში. თუმცა საქართველოშიც ბოლო წლებში შეიმჩნევა სასამართლო პრაქტიკის ცვლილება.

დამდგარი მორალური ზიანის შემთხვევაში - რთულია მიყენებული ზიანის დამტკიცება, ასევე მოსამართლის მიერ დამდგარი ზიანის გაზომვა და შესაბამისი ანაზღაურების დაკისრება ზიანის მიმყენებლისათვის. არსებობს მოსაზრება, რომ ზიანის მიმყენებელმა კომპენსაცია კი არ უნდა გადაიხადოს, ან გააქარწყლოს ემოციური ზიანი, არამედ მან ის ინტერესი უნდა აღადგინოს, რომელსაც მიაღდა ზიანი, რასაც მოყვა ემოციური მდგომარეობის დამძიმება დაზარალებულისათვის. ძირითად ინტერესში მოიაზრება გეგმებიც, დღის წესრიგი და ასევე ღირებულებები.<sup>115</sup> ამ მოსაზრებას ავტორი იმ იდეის არგუმენტად იყენებს, რომ კერძო სამართალს ემოციური ზიანის ასანაზღაურებლად თანხის ნაცვლად სხვა საშუალება ესაჭიროება.<sup>116</sup>

---

<sup>113</sup> ბიჭია მ., გრიგოლ რცხილაძის სტატიის – „მორალური ზიანის ანაზღაურება“ – ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, N 8, 2017, 76-77.

<sup>114</sup> Omri B-S., Porat A., The restoration remedy in private law, Columbia Law Review, No. 6, 2018, 1902.

<sup>115</sup> Omri B-S., Porat A., The restoration remedy in private law, Columbia Law Review, No. 6, 2018, 1904.

<sup>116</sup> იქვე, 1903.

დამდგარი არაქონებრივი ზიანისას მოსარჩელეს აკისრია მტკიცების ტვირთი, მან უნდა დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაში გამოიხატება ზნეობრივი ტანჯვა, ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, ასევე უნდა განსაზღვროს კომპენსაციის ოდენობა.<sup>117</sup>

უსამართლობა და თვითნებობა იწვევს ადამიანებში ზნეობრივ ტკივილს და აფრთხილებს ადამიანებს, რომ ზომების მიღება და მოქმედებაა საჭირო სიმართლისა და სამართლიანობის დასაცავად.<sup>118</sup>

წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ნორმებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის მითითება არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე, რაც ამავე კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეუძლებელს ხდის მორალური ზიანის ანაზღაურებას. თუმცა 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებლობას იძლევა, დაზარალებულმა გამოიყენოს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, თუ მას ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მიადგა სულიერი ტანჯვა.<sup>119</sup> ადრეულ წლებში საქართველოში ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მორალური ზიანი არ ანაზღაურდებოდა,<sup>120</sup> თუმცა დღესდღეობით სასამართლო ხშირ შემთხვევებში აკისრებს ზიანის მიმყენებელს მორალური ზიანის გადახდის ვალდებულებასაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის საქმეში არსებული განმარტებით, „კერძო სამართლით გათვალისწინებული სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად შეიძლება

---

<sup>117</sup> თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა

მიღების თავისებურებანი, თბილისი, 2005, 70, ნაშრომიდან: ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, „სამართლის ჟურნალი“, N 1, 2017, 17.

<sup>118</sup> იერინგი რ.ფ., ბრძოლა უფლებისათვის, თბილისი, 2000, 55, ნაშრომიდან: ბიჭია მ., პირადი

ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, 2012, 146.

<sup>119</sup> ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 396.

<sup>120</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება N ას-751-1118-06.

ადგილი ჰქონდეს მორალურ, სულიერ ტანჯვას, მაგრამ მისი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ ადგენს, თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება მოითხოვოს დაზარალებულმა არაქონებრივი ზიანისათვის ანაზღაურება. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა დამკვიდრდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა.<sup>121</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა შესაძლებელია სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში.<sup>122</sup> სასამართლო განმარტავს, რომ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ისეთ ზემოქმედებას მოიცავს რომელიც ადამიანის სხეულსა და შინაგან პროცესს აზიანებს, ცვლის უარესობისაკენ.<sup>123</sup> ამავე გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ ჯანმრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე სულიერი ტანჯვის შემთხვევაში ექვემდებარება ანაზღაურებას მორალური ზიანი და არა ქონებრივი ზიანის გამო, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას.

მორალური ზიანის ანაზღაურებისას გასათვალისწინებელია მისი მიზანი და, შესაბამისად, მისი ოდენობა უნდა იყოს სამართლიანი და გონივრული.<sup>124</sup>

მისაღებია მოსაზრება, რომლის მიხედვით მორალური ზიანის კომპენსაციის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებმაც წუნდებული ძეხვი მიიღეს, მაგრამ არ მოიწამლნენ, სხვა პირი კი მოიწამლა. ეს არ უნდა

---

<sup>121</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინება №ას-1156-1176-2011.

<sup>122</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>123</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინება №ას-1156-1176-2011.

<sup>124</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019, 749.

ამცირებდეს პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას.<sup>125</sup> ამგვარმა მიდგომამ შესაძლებელია საკვებით მიყენებული ზიანის დადგომის შემთხვევებში პრევენციის როლი შეასრულოს.

მორალური ზიანის ანაზღაურებისას, თანხის ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს გარკვეული კრიტერიუმები, როგორცაა ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხარისხი, დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნა და ასევე სხვა კონკრეტული საქმის შესაბამისი გარემოებები.<sup>126</sup>

განცდილი ტანჯვის ხარისხის დადგენისას მოსამართლესთვის გასათვალისწინებელია, რამდენად მძაფრად განიცდის თავად დაზარალებული ტანჯვას, ინდივიდუალური თავისებურებები უნდა მიიღოს მხედველობაში მოსამართლემ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას.<sup>127</sup>

მისაღებია მოსაზრება, რომ ანაზღაურების ოდენობა უნდა გაიზარდოს იმ შემთხვევაში როდესაც დაზარალებული ცხოვრების ჩვეულ რიტმს შეიცვლის და პროფესიაზე იტყვის უარს.<sup>128</sup>

მართალია მორალური ზიანის გამოთვლისას დიდი ოდენობის თანხაც კი ვერ აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ კომპენსაციის გზით დასტურდება იმ უფლებების არსებობა, რომელთა შელახვამაც გამოიწვია მორალური ზიანი.<sup>129</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ დაზარალებული მაშინ კმაყოფილდება, როდესაც ზიანის მიმყენებელს მძიმე სანქცია დაეკისრება, აქედან

---

<sup>125</sup> ზოიძე თ., წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება(ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 115.

<sup>126</sup> ბარაბაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, ადამიანი და კონსტიტუცია N 2, 2004, 80.

<sup>127</sup> იქვე, 81.

<sup>128</sup> იქვე, 83.

<sup>129</sup> იქვე, 84.

გამომდინარე მოსამართლემ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე უნდა მიიღოს კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება.<sup>130</sup>

ზიანის ანაზღაურებისას უნდა გაითვალისწინოს თუ არა სასამართლომ დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობა? კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია, მოსამართლემ გაითვალისწინოს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ, თუ დაზარალებულის ყოველთვიური შემოსავალი საკმაოდ დიდია და საკომპენსაციო თანხა მასში დადებით ემოციებს ვერ აღძრავს და უმნიშვნელოა, ამის გამო მოსამართლემ უნდა მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება და გაზარდოს საკომპენსაციო თანხა, სხვა მსგავს შემთხვევებთან შედარებით. ზემოთაღნიშნული ეწინააღმდეგება მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპებს, რომელთა მიხედვით ტანჯვის სიმძიმესთან ერთად შესაძლებელია გაიზარდოს კომპენსაციის ოდენობა.<sup>131</sup> მართლაც, ტანჯვის სიმძიმესთან ერთად კომპენსაციის ოდენობის გაზრდა უფრო სამართლიანია, ვიდრე დაზარალებულის ემოციების გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობს ქონებრივი მდგომარეობიდან. აქვე აქტუალური ხდება საკითხი კომპენსაციის სხვაგვარი სახის შემოღებაზე, რომელიც განსხვავებული იქნება ინდივიდუალურ შემთხვევებში და არ იქნება განსაზღვრული თანხის სახით. აქვე გასათვალისწინებელია რომ ზიანის ანაზღაურებამ არ უნდა გამოიწვიოს დაზარალებულის გამდიდრება.

ტკივილისა და ტანჯვის განსასაზღვრად, მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის, შესაძლებელია თითოეულ დღეს განცდილი ტკივილის დაანგარიშება იმის მიხედვით თუ რა ოდენობის ხელფასი ჰქონდა დაზარალებულს მოქმედ თუ ბოლო სამსახურში. განცდილი ტკივილის, დღეების რაოდენობის მიხედვით გამრავლება შესაძლებელია დაზარალებულის ერთი დღის ხელფასზე, რადგან თითოეულ დღეს მიღებული დაზიანებების გამო დაზარალებული განიცდის ტკივილს და

---

<sup>130</sup> ბარაბამე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, ადამიანი და კონსტიტუცია N 2, 2004, 84.

<sup>131</sup> იქვე, 84-85.

უშედეგოდ ცდილობს სამსახურში დაბრუნებას, როდესაც მას დარღვეული აქვს ჩვეული ცხოვრების რიტმი.<sup>132</sup>

## 4.2 ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

წუნდებული საკვები პროდუქტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ჯანმრთელობის დაზიანება. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ძალიან მწირია საკვებ პროდუქტთან დაკავშირებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევები, ისევე, როგორც საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შესახებ საქმეები, თუმცა შესაძლებელია განხილვა ზოგადად ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებისა. „მორალური ზიანის კომპენსაცია ხდება ფულადი სახით, თუმცა არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც მოქმედი კანონმდებლობის სხვა ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ზუსტ წესს. საერთო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლო, პირველ რიგში, მხედველობაში იღებს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხს. „ბრალი სამოქალაქო სამართალში არის პასუხისმგებლობის პირობა და არა ზომა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისი, ამიტომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ზიანის მიმყენებლის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი.“<sup>133</sup> ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებიდან

<sup>132</sup> <<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/two-ways-calculate-pain-suffering-settlement.html>>[10.08.2020].

<sup>133</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება N 28/6468-17.

გამომდინარე ფიზიკური და სულიერი ტკივილი.<sup>134</sup> ასეთი მიდგომა უფრო მეტად უსვამს ხაზს ადამიანის უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტებს, რადგან ყველა ადამიანი განსხვავებულია და სასამართლოს მიერ ადამიანების ჩარჩოში მოქცევა ემნის სურათს, რომ მათი ინტერესები არ არის დაცული.

პირველი ინსტანციის სასამართლო განმარტავს მორალური ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზანს: „კომპენსაციის მიზანია მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად.“<sup>135</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანი არ არის რესტიტუცია, არამედ დაზარალებულისთვის ემოციური მდგომარეობის დასტაბილურება და სულიერი ტანჯვის შემსუბუქება.<sup>136</sup> სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ასევე გაითვალისწინა მოსარჩელის ასაკი გადაწყვეტილების მიღებისას და ზიანის ანაზღაურებისას, რადგან ის ასაკოვანი იყო.<sup>137</sup> გასათვალისწინებელია ასევე ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა.<sup>138</sup> სააპელაციო სასამართლო იგივე საქმეზე განმარტავს, რომ სასამართლო საკუთარი შეფასებების საფუძველზე განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლებს. მორალური ზიანის ანაზღაურებას აქვს პრევენციული ხასიათი და მიზანიც.<sup>139/140</sup> სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის საქმეში გაითვალისწინა მოსარჩელის ასაკი, მისი ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე ის, რომ მოპასუხე არ დახმარებია მას მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში, მოპასუხეს

---

<sup>134</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება N 28/6468-17

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის N ას-660-660-2018.

<sup>137</sup> იქვე.

<sup>138</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №28/5976-19.

<sup>139</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება N 28/6468-17.

<sup>140</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება N ას-594-562-2015.



დაეკისრა 2000 ლარის გადახდა.<sup>141</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩვრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში და განუხილველად დარჩა დაუშვებლობის გამო.<sup>142</sup>

ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებულ მორალურ ზიანთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი შესაძლებელია გამოწვეული იყოს მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების უშედეგო მკურნალობით და აქედან გამომდინარე ცხოვრების წესის შეცვლით, ცხოვრების ხალისის დაკარგვით და დაძაბულობით, რაც ჯანმრთელობაზე და ფსიქიკაზე უარყოფითად აისახება.<sup>143/144/145</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში<sup>146</sup> საუბარია 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, დელიქტით მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების შესაბამისად.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელში მოცემულ განმარტებებსაც გარკვეულწილად პრეცედენტული ხასიათი აქვს, მითითებულია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი უკავშირდება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, გამოწვეულს უმოქმედობით ან მოქმედებით.<sup>147</sup> აქვე აღნიშნულია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები დამოკიდებულია განცდილი ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხზე და ის ანაზღაურდება მატერიალური ზიანისგან განცალკევებით.

---

<sup>141</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება N 28/6468-17.

<sup>142</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის განჩინება N ას-561-561-2018.

<sup>143</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება N 28/3191-17.

<sup>144</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება N ას-979-940-2014

<sup>145</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება N ას-669-2019

<sup>146</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება N 28/3191-17.

<sup>147</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება N ას-979-940-2014.

ამავე სასამართლო გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი განმარტებაა მოცემული, რომლის მიხედვით სამართალში ჩამოყალიბებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანია დაზარალებულის სულიერი მდგომარეობის შემსუბუქება და ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს ამ მიზნის შესაბამისი.<sup>148</sup>

აღნიშნული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც თუმცა არ შეეხება საკვები პროდუქტით მიყენებულ ზიანს, მაგრამ ეხება განცდილ სულიერ ტანჯვას, სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობად განისაზღვრა 10 000 ლარი. აქ სასამართლომ ზიანის ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრა განცდილი სულიერი ტანჯვის პროპორციულად. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია მორალური პრეზუმფციის შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ მძიმე ტანჯვას განიცდის დაზარალებული, ივარაუდება რომ მან სულიერი ტკივილი განიცადა და ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა უნდა ამტკიცოს საწინააღმდეგო.<sup>149</sup>

უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვით კანონმდებელი ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში უშვებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. საკომპენსაციო თანხის ოდენობა შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ჯანმრთელობის დაზიანების და შესაბამისი სულიერი ტანჯვის ხარისხზე.<sup>150</sup>

უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯანმრთელობის დაზიანებით

---

<sup>148</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება N ას-979-940-2014.

<sup>149</sup> მორალურ პრეზუმფციასთან დაკავშირებით იხ, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება N ას-669-2019.

<sup>150</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება N ას-594-562-2015.

მიყენებული მორალური ზიანის, ასევე მიღებული სულიერი ტრავმის შესაბამისად სწორად განსაზღვრა საკომპენსაციო თანხა 20 000 ლარის ოდენობით.<sup>151</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე საქმეზე დაზარალებული ითხოვდა 140 000 ლარს მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ.

სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანის გამომწვევი და შესაბამისად ანაზღაურებას დაქვემდებარებული არ შეიძლება იყოს მსუბუქ ფორმაში ჯანმრთელობის დაზიანება, რომელიც ცხოვრების ხანგრძლივ მონაკვეთში არ გრძელდება.<sup>152</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით პროგრესულია სააპელაციო სასამართლოს განმარტება მორალური ზიანის ღირსეულად ანაზღაურების და მიყენებული ტანჯვის თანაზომიერების შესახებ.<sup>153</sup> ზემოხსენებულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მიყენებული ტანჯვის თანაზომიერ და ღირსეულ ოდენობას კომპენსაციის სახით წარმოადგენს 20 000 ლარი. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები და მოცულობა დგინდება მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის მიხედვით, რომელიც მოსარჩელის აზრით შეესაბამება მის მიერ განცდილ ტანჯვას, თუმცა ეს მოთხოვნა გადაწყვეტი არ არის და საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს გონივრულ ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში განმარტებულია: „მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი - დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე - ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე-თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ.“<sup>154/155</sup> „ანაზღაურების ოდენობა

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება N ას-452-431-2015.

<sup>152</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის განჩინება N 28/4180-17.

<sup>153</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ოქტომბრის განჩინება N 28/5976-19.

<sup>154</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 იანვრის განჩინება N 28/5250-19.

განსაზღვრება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის, დაზარალებულის ბრალის ხარისხის და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში მისაღება ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს პირის დარღვეული უფლებების ხასიათს, ამ დარღვევის ნეგატიურ როლს პიროვნებაზე, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე და ა.შ.<sup>156</sup>

#### **4.3 მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები უფლებამონაცვლისათვის პირის გარდაცვალების შემთხვევაში**

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებისას მნიშვნელოვანია პირთა წრის განსაზღვრა, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება.<sup>157</sup> დაზარალებულის გარდაცვალებისას ოჯახის წევრის მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას სენსიტიური ხასიათი აქვს და ადამიანის უფლებების დაცვასთან ახლოს დგას. გარდა ამისა, ქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას პრევენციული ხასიათიც შესაძლებელია ჰქონდეს, თუ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდება ამგვარი ანაზღაურების შემთხვევები.

არსებობს მოსაზრება, რომ თუ მარჩენალის გარდაცვალება გახდება მიზეზი ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფისა, მან არაქონებრივი

---

<sup>155</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება N ას-669-2019

<sup>156</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 იანვრის განჩინება N 28/5250-19.

<sup>157</sup> ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, N 4, 2016, 49.

ზიანისათვის უნდა იდავოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 992-ე მუხლების საფუძველზე და არა 1006-ე მუხლის.<sup>158</sup>

უზენაესი სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას საქმეში, რომლის მიხედვით სსკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია გარდაცვალების შემთხვევაში.<sup>159</sup> საკასაციო სასამართლო განმარტავს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომ დაზარალებული არის უშუალოდ გარდაცვლილი და არა მისი ოჯახის წევრი.<sup>160</sup>

ჩნდება კითხვა, რომ თუ ადამიანის გარდაცვალების შემდგომ არ შეიძლება ანაზღაურდეს მორალური ზიანი, მაშინ ზიანის მიმყენებელს დაზარალებულის გარდაცვალება უკეთეს მდგომარეობაში ხომ არ აყენებს? დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, მას ასანაზღაურებელი ექნება მხოლოდ მატერიალური და არა მორალური ზიანი დაზარალებულისათვის, რადგან ის გარდაცვლილია. ამგვარი მიდგომა კი შესაძლებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის საკითხს ეჭვქვეშ აყენებდეს. არსებობს დამკვიდრებული აზრი, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლების სუბიექტს და გარდაცვალების შემდეგ მისი მოთხოვნა დაუშვებელია. სასამართლო პრაქტიკაშიც არსებობს მსგავსი მიდგომა და ეს გამართლებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-19 მუხლით, რომლის მიხედვით მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა გარდაცვალების შემდგომ დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები არის ძირითადი და მათი დარღვევის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის მოთხოვნას აქვს სამართლიანი დაცვის

---

<sup>158</sup> იქვე, 54.

<sup>159</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 25 მაისის განჩინება N ას-469-783-05.

<sup>160</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება N ას-113-108-2014.

საშუალების ერთ-ერთი ფორმა.<sup>161</sup> სწორედ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ შეინიშნება სასამართლო პრაქტიკის ცვლილება საქართველოში და დაზარალებულის უფლებამონაცვლესაც აქვს უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში.

უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც გარდაცვლილის უფლებამონაცვლისათვის მორალურის ზიანის სახით 5000 ლარის გადახდა დაეკისრა მოპასუხეს.<sup>162</sup> სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გათვალისწინებულია ზემოხსენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით 20 000 ლარი განისაზღვრა მორალური ზიანის ასანაზღაურებელ თანხად.<sup>163</sup>

უზენაესი სასამართლოს საქმეში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ საფუძვლად დაედო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც შეიცვალა მანამდე დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით მხოლოდ დაზარალებულს ჰქონდა და მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდებოდა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.<sup>164</sup> აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ბოლო

---

<sup>161</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება CASE OF SARISHVILI-BOLKVADE v. GEORGIA, პარ 96.

<sup>162</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება N ას-1800-2019.

<sup>163</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება N ბს-327-309(2კ-07).

<sup>164</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება N ას-1800-2019.

წლებში საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვით მთავარ ფასეულობას წარმოადგენს ადამიანი, ამგვარი დამოკიდებულება კი უდიდესი მნიშვნელობის მქონეა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. ზემოთაღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრება მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ წუნდებული საკვები პროდუქტით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება უფლებამონაცვლისათვის კომპენსაციის მიღება მორალური ზიანისათვის.

საკითხის შესწავლისას ჩნდება მოსაზრება, რომ უმჯობესია სამოქალაქო კოდექსით იყოს გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ახლობელი ადამიანის გარდაცვალებისას, განისაზღვროს მოსარჩელეთა წრე, რომელიც ვიწრო არ იქნება, რადგან მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანია განცდილი დარდის, მწუხარებისა და ასევე დაკარგული ურთიერთობის კომპენსაცია.<sup>165</sup>

თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც არ არის საჭირო საკანონმდებლო დონეზე კომპენსაციის მიმღებ პირთა წრის განსაზღვრა და სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც დაეფუძნება საქმეში არსებულ კონკრეტულ გარემოებებს.<sup>166</sup> უკანასკნელი მოსაზრება შესაძლებელია უფრო მისაღები იყოს და სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ადამიანის, როგორც ქვეყანაში მთავარი ღირებულების გათვალისწინებით.

ზიანის დადგომის შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხმა შეიძლება განაპირობოს დაზარალებული მხარის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა, ან პირიქით მიმართვაზე უარის თქმა. თუმცა მცირე დაზიანების შემთხვევაშიც მომხმარებლის მიერ გაღებული ძალისხმევა და უკუკავშირი მწარმოებლის მიმართ, მომავალში იქნება მომხმარებელთა უფლებების

<sup>165</sup> გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა, N 2, 2019, 177.

<sup>166</sup> ქათამაძე ნ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, სამართალი და მსოფლიო, N 9, 2018, 91.

დაცვის გაუმჯობესების საფუძველი. ზიანის ანაზღაურებას პრევენციული ხასიათიც აქვს, ამ ფუნქციის შესრულება შესაძლებელია სწორედ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულები მიმართავენ სასამართლოს. აქვე აღსანიშნავია, რომ რაც უფრო დიდი ოდენობით დაეკისრება მწარმოებელს ზიანის ასანაზღაურებელი თანხა, უფრო მეტად გამოიკვეთება ზიანის ანაზღაურების პრევენციული ხასიათი. თუმცა, საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით დიდი ოდენობით ზიანის ასანაზღაურებელი თანხის დაკისრება სავარაუდოდ ვერ მოხდება კომპანიების ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან სასამართლო მწარმოებლის ფინანსურ მდგომარეობასაც ითვალისწინებს. სწორედ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს კანონმდებლობის მისადაგება ევროპის საბჭოს დირექტივასთან რთული იქნება, მასში განსაზღვრული ზიანის ოდენობიდან გამომდინარე.

ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ოდენობა შეესაბამებოდეს დანაკარგს. სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად შეიმჩნევა ზიანის ანაზღაურების ოდენობის ზრდა ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებში, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული თუ რა ოდენობის თანხა დაეკისრება ზიანის მიმყენებელს.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში კომპენსაციის მიმღებ პირთა წრის განსაზღვრა და მარჩენალდაკარგული არასრულწლოვანი და შრომისუუნარო პირებისათვის კომპენსაციის გადახდას მათი უფლებების დაცვის ფუნქციაც აკისრია, რადგან ისინი დამდგარი ზიანით გამოწვეული გარდაცვალების გამო კარგავენ სრულყოფილად განვითარებისა და არსებობის უფლებას. აქედან გამომდინარე, მოსამართლეს მართებს სიფრთხილე, რომ სწორად გამოთვალოს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.



ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მრავალ კრიტერიუმს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, იმდენად პრევენციული ხასიათისაა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეთ მათაც, ვისაც არ მიუღია დაზიანება პროდუქტის მოხმარებისაგან, მაგრამ იგივე პროდუქტმა გამოიწვია ზიანი სხვა პირის მიმართ. ამგვარი სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრებას პრევენციული ხასიათიც ექნება და ზემოხსენებული პრაქტიკის დამკვიდრება ხელს შეუწყობს მწარმოებლების მიერ სიფრთხილის ზომების დაცვას.

მორალური ზიანის ანაზღაურებისას საჭიროა სამართლიანობის პრინციპების დაცვით ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა, რათა დაზარალებულის ემოციური დამოკიდებულების მიხედვით ასანაზღაურებელი თანხის მიმართ, არ დადგინდეს არაგონივრულად დიდი თანხა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან მცირე თანხა, რადგან ერთი დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია დიდი ოდენობის თანხა გახდეს საჭირო მის დასაკმაყოფილებლად, ხოლო სხვა შემთხვევაში მცირე ოდენობის.

მორალური ზიანის ანაზღაურებას „სატისფაქციური“ ფუნქცია აქვს და დაზარალებულისთვის ტკივილის შემსუბუქებას ისახავს მიზნად, თუმცა დაზარალებულის მიერ მოთხოვნილ თანხას სასამართლო არ აკმაყოფილებს და საბოლოოდ ითვალისწინებს არა დაზარალებულის მოთხოვნილებას, არამედ გონივრულობის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.

როგორც ნაშრომში აღინიშნა, შესაძლებელია მომავალში მორალური ზიანის ანაზღაურების თანხისაგან განსხვავებულ შესაძლებლობაზეც დაიწყოს მსჯელობა, ხოლო, ამგვარი ანაზღაურების შესაძლებლობა ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე დადგეს - და დაზარალებულის

ემოციური საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის უკეთესი შედეგი გამოიღოს.

ოჯახის წევრის, ან ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევაა და სასიხარულოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „სარიშვილი-ბოლქვამის“ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ქართული სასამართლო პრაქტიკა შეიცვალა. ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების გავლენა ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ოჯახის წევრის, ახლობლის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ხაზს უსვამს ადამიანის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის. როგორც ზიანის ანაზღაურების სხვა შემთხვევებში, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობაც, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად შეიძლება გაიზარდოს და ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მეტად ფასეული გახდეს.

## IV დასკვნა

ოცდამეერთე საუკუნეში მრავალი ფაქტორი უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. რადგან სახელმწიფოები იღებენ საკუთარ თავზე ვალდებულებას, მათთვის მთავარ ღირებულებას ადამიანი წარმოადგენდეს, მნიშვნელოვანია, იზრუნონ ისეთ საკითხზე, როგორც არის საკვების უსაფრთხოება. საკვების უსაფრთხოება უნდა მოიცავდეს როგორც იმპორტირებულ საკვებს, ასევე საქართველოში ნაწარმოებ, მიწაზე მოყვანილ პროდუქტს. დღესდღეობით, როდესაც სოფელში მაცხოვრებელი საარსებოდ მინიმალური თანხის მისაღებად ამუშავებს მიწას და მოყავს პროდუქტი, რომელსაც შემდგომში ყოველდღიურად ყიდის, რთულია დაუწესო მაღალი სტანდარტები, თუმცა საქართველოში ყოველდღიურად ბავშვებსა და მოზრდილებში აღმოჩენილი უამრავი დაავადება ყურადსაღებს ხდის ამ საკითხს, მსგავსად დაბინძურებული ჰაერისა. შესაძლებელია მეურნეობების განვითარებასთან ერთად დაწესდეს მაღალი სტანდარტები და დასამუშავებელ ნიადაგსაც მიექცეს ყურადღება, თუ რამდენად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ასევე მომავალში პირველადი პროდუქტებიც შესაძლებელია გაერთიანდეს „ნივთის“ ცნებაში წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის.

საჭიროა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს და მზა საკვების დამამზადებლებს მოეთხოვოთ პროდუქტის ხარისხის შესახებ მოწმობა და მკაცრად გაკონტროლდნენ, რათა მომხმარებლის ჯანმრთელობა და სიცოცხლე იყოს დაცული. შესაძლებელია, დაზარალებულისათვის მტკიცების ტვირთის შემსუბუქებით გაიზარდოს საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოში საქმეები,

რადგან პრობლემა ქვეყანაში რეალურად დგას, თუმცა სასამართლო პრაქტიკა თითქმის არ არსებობს.

მომხმარებლის უფლებების დაცვისა და დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების პროცესში მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა, რათა მწარმოებელი არ აღმოჩნდეს დაზარალებული არაგონივრული ზიანის ოდენობის განსაზღვრით და აღნიშნულმა არ გამოიწვიოს მისი საქმიანობის შეწყვეტა.

გამოწვეულ ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად საჭიროა გამოცდილი ექსპერტების არსებობა და ასევე ტექნიკური საშუალებები, რათა დადგინდეს ზიანის გამომწვევი მიზეზი, შესაბამისად აუცილებელია ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყოს ზემოთაღნიშნული საშუალებები.

უმჯობესი იქნება მტკიცების ტვირთის გადანაწილება დაზარალებულსა და მწარმოებელს შორის, რადგან მხოლოდ დაზარალებულისათვის მტკიცების ტვირთის დაკისრება აყენებს მას სუსტი მხარის პოზიციაში. მტკიცების ტვირთის თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ და საკუთარი პოზიციის დამტკიცება მათ შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოში ზიანის ანაზღაურებისას სასამართლო ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და ასევე მწარმოებლის ფინანსურ შესაძლებლობებს, აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით ზიანის ანაზღაურების ოდენობა შესაძლებელია არ არის სათანადო, თუმცა მთავარია, რომ სასამართლოსათვის ადამიანი იყოს უმნიშვნელოვანესი და შეეცადოს, ღირსეულად აუნაზღაურდეს ზიანი.

საქართველოში ადამიანების ცნობიერება უნდა ამაღლდეს და საკვებით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, თუნდაც არ მიიღონ შესაბამისი კომპენსაცია. მთავარია უკუკავშირი მწარმოებლის მიმართ, რათა მომავალში სხვა ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს არ შეექმნას საფრთხე.

ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში საქმის თავისებურებებიდან და დაზარალებულის საჭიროებებიდან გამომდინარე ზიანის მიმყენებელს შესაძლებელია დაეკისროს საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საკმაოდ მაღალი ოდენობის ასანაზღაურებელი თანხა, რაც, რა თქმა უნდა, დადებითად შესაძლებელია შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. თუმცა ევროპის საბჭოს დირექტივასთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში რთული იქნება ქვეყნის ეკონომიკურ გნვითარებასა და გამლიერებამდე.

ზიანის ანაზღაურების შემთხვევებში სასამართლო იღებს კონკრეტული საქმიდან გამომდინარე გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას. საქართველოში ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით იღებს დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებებს ზიანის ანაზღაურების ოდენობაზე. შეიმჩნევა მზარდი ტენდენცია ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას.

შესაძლებელია განვითარებულმა ქვეყნებმა მომავალში დაიწყონ მსჯელობა ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების თანხისაგან განსხვავებული სახით ანაზღაურებაზე კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, რადგან თანხით ზიანის ანაზღაურება ზოგიერთ შემთხვევაში არ არის შედეგის მომტანი. დროთა განმავლობაში შესაძლებელია, ეს საკითხი აქტუალური გახდეს და გამოიკვეთოს, თუ რა სახით შეიძლება ზიანის ანაზღაურება.

წუნდებული საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის შემთხვევაში საწყის ეტაპზე დაზარალებულის მიერ სასამართლოსათვის მიმართვა და საკუთარი უფლებების დაცვა, მიუხედავად ზიანის ანაზღაურების ოდენობისა, იქნება წინგადადგმული ნაბიჯი. მომხმარებელთა უფლებების სასამართლოს გზით დაცვა საკვები პროდუქტით მიყენებული ზიანის

სფეროში გახდება საფუძველი საკვები პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებისა და გამონაკლის შემთხვევებში წუნდებული საკვები პროდუქტით ზიანის მიყენებისას სასამართლოს შეეძლება მწარმოებლისათვის იმ ოდენობით ზიანის დაკისრება, რომ დაზარალებულს მიყენებული ზიანი ღირსეულად აუნაზღაურდეს.

## **ბიბლიოგრაფია** **სამეცნიერო ლიტერატურა**

**ახვლედიანი ზ.**, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999

**ბარაბაძე ნ.**, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, ადამიანი და კონსტიტუცია N 2, 2004

**ბენდელიანი თ.**, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლისათვის წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი მოწესრიგება ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014

**ბზეკალავა ე.**, მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „ლადო ჭანტურია 50“, საიუბილეო გამოცემა, დიმიტრი გეგენავას საერთო რედაქციით, თბილისი, 2013

**ბიოლინგი ჰ., ლუტრინგჰაუსი პ.**, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009

**ბიოლინგი ჰ., ჭანტურია ლ.**, სამოქალაქო საქმეებზე საასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004

**ბიჭია მ.**, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N 3, 2016

**ბიჭია მ.**, გრიგოლ რცხილაძის სტატიის – „მორალური ზიანის ანაზღაურება“ – ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, N 8, 2017

**ბიჭია მ.**, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016

**გაიპარაშვილი მ.**, ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა, N 2, 2019

**გეგიძე ნ.**, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2012

**დუნდუა მ.**, დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი, N 1, 2009

**ზაალიშვილი ვ.**, სამომხმარებლო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, N 1-2, 2010

**ზოიძე ბ.**, სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, თბილისი, 2013

**ზოიძე თ.**, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი, N 1, 2012

**ზოიძე თ.**, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება(ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 115.

**თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი ი.**, საკუთარი ბიზნესი: მთავარი სამიზნე მოთხოვნების დაკმაყოფილება, მე-2 ნაწილი დამხმარე სახელმძღვანელო, გორი, 2008

**თოდუა მ., ვილემსი ჰ.**, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006

თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი, 2005, 70, ნაშრომიდან: ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, „სამართლის ჟურნალი“, N 1, 2017

იერინგი რ.ფ., ბრძოლა უფლებებისათვის, თბილისი, 2000, 55, ნაშრომიდან: ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, 2012

კროფჰოლერ ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიასა და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის, თ. დარჯანიასა და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014

ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი(ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბილისი, 2018

მესხიშვილი მ., ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულ და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2004

ნაჭყებია ა., სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), 2014

ნიჟარაძე ნ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ცნება ქართულ სამართალში „ცხოვრება და სამართალი“, N 3, 1998

სახელშეკრულებო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლადო ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2019.



ქათამაძე ნ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პიროვნების გარდაცვალების შემდეგ და მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტები, სამართალი და მსოფლიო, N 9, 2018

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, 12

ძლიერიშვილი ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სს-კ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, „ადვოკატი“, N 2, 2013

ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012

შოთაძე თ., უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობათა მიხედვით, „მართლმსაჯულება,“ N 2, 2007

ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, თბილისი 2016

**Ausness, R. C.** Tell me what you eat, and will tell you whom to sue: Big problems ahead for big food. *Georgia Law Review*, 39(3), 2005

**Burnford, J.** Food poisoning. *Medico-Legal and Criminological Review*, 6 no. 1, 1938

**Cantu, C. E.** Fattening foods: Under products liability litigation is the big mac defective. *Journal of Food Law and Policy*, 1(1), 2005

**Deaconu Dascalu, D.** Civil Liability for Damages Caused by Defective Product. *International Conference Education and Creativity for Knowledge-Based Society*, 2017

**Frazier, D. A.,** The Link between Fast Food and the Obesity Epidemic, *Health Matrix: Journal of Law-Medicine* 17, no. 2, 2007

**Hensler, D. R., & Peterson, M. A.,** Understanding mass personal injury litigation: socio-legal analysis. *Brooklyn Law Review*, 59(3), 1993

**Manes Mindi R., Liu L., & Dworkin, Mark S.** Baseline Knowledge Survey of Restaurant Food Handlers in Suburban Chicago: Do Restaurant Food Handlers Know What They Need to Know to Keep Consumers Safe? *Journal of Environmental Health*, vol. 76 No. 1, 2013

**Omri B-S., Porat A.**, The restoration remedy in private law, *Columbia Law Review*, No. 6, 2018

**Redding, R. W.** Economic loss from defective products. *Willamette Law Journal* 4, N 3, 1967

**Rheingold, P. D.** Proof of defect in product liability cases. *Tennessee Law Review*, 38(3), 1971

**Walters Stephen S.**, Products Liability and the Problem of Proof, *Stanford Law Review*, No. 6, 1969

## სამართლებრივი აქტები

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 301/ნ „სასურსათო ნედლეულისა და კვების

პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“

საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დირექტივა 85/374/EEC, წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაახლოების თაობაზე-9

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27/06/2014, სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან

Gesetz über die Haftung für fehlerhafte Produkte vom 15. Dezember 1989 (BGBl. I S. 2198)

## ელექტრონული წყარო

<<https://www.fda.gov/food/metals-and-your-food/lead-food-foodwares-and-dietary-supplements>> [13.05.2020]

<<https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/lead-poisoning-and-health>> [13.05.2020]

< <https://www.healthchecksystems.com/ffood.htm>>[03.08.2020].

<<https://www.alllaw.com/articles/nolo/personal-injury/types-liability-lawsuits-food-poisoning.html?fbclid=IwAR2IHPJC7aE6bxc9UEJRHcHJFGkSler7u7kULr-WbwtoxIIEba6-4uRMs8>> [15.07.2020]

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/83802>>[01.08.2020]

<<https://www.nytimes.com/2020/06/23/health/baby-powder-cancer.html>>[11.08.2020]

[https://www.washingtonpost.com/business/economy/faa-to-change-how-it-reviews-aircraft-designs/2020/05/19/fe3cc37a-99e7-11ea-ac72-3841fcc9b35f\\_story.html](https://www.washingtonpost.com/business/economy/faa-to-change-how-it-reviews-aircraft-designs/2020/05/19/fe3cc37a-99e7-11ea-ac72-3841fcc9b35f_story.html)

## სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოს უზენაესი სასამართლო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის განჩინება N ას-1800-2019

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 იანვრის განჩინება N 28/5250-19

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ივლისის განჩინება N ას-669-2019

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება N ბს-327-309(23-07).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის N ას-660-660-2018

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის განჩინება N ას-561-561-2018

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 მარტის განჩინება №2ბ/4180-17

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება N ას-594-562-2015

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება N ას-452-431-2015

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება N ას-979-940-2014

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება N ას-113-108-2014

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინება №ას-1156-1176-2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 მარტის განჩინება N ას-751-1118-06

გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 25 მაისის განჩინება N ას-469-783-05

### **სააპელაციო სასამართლო**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №2ბ/5976-19

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის განჩინება N 2ბ/3730-18

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის  
გადაწყვეტილება N 28/3191-17

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018  
წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება N 28/6468-17

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013  
წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება N 2/8-614

### **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის  
გადაწყვეტილება CASE OF SARISHVILI-BOLKVDADZE v. GEORGIA

### **ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლო**

SPELLER V SEARS, ROEBUCK AND CO, ამერიკის შეერთებული შტატების  
სააპელაციო სასამართლო, 2003 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება